პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 195 (11806) | სამშაბათი, 23 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

მილოცვები რუმინელ ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავის გამო დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გეორგე გეორგიუ-დეჟს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოიკა კივუს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იონ გეორგე მაურერს. დეპეშაში გადასცემენ საბჭოთა ხალხის გულითად მილოცვას რუმინელ ხალხს მისი ეროვნული დღესასწაულის გამო.

„საბჭოთა ადამიანებს, — ნათქვამია დეპეშაში, — სულით და გულით უხარიათ მოძმე რუმინელი ხალხის მიღწევები და შემდგომ წარმატებებს უსურვებენ მას სოციალიზმის მშენებლობაში".

* * *

ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავის გამო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს აბრამ ბუნაჩიუს მილოცვის დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. (საკდესი).

დიდება მათ!

მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, მუშაკთა მთელ კოლექტივს,

რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის შექმნაში, გაშვებასა და დედამიწაზე დაბრუნებაში ცოცხალ არსებებთან ერთად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, მუშაკთა მთელ კოლექტივს, რომლებმაც შექმნეს მძლავრი კოსმოსური ხომალდი და ისტორიაში პირველად განახორციელეს ამ ხომალდის გაფრენა და წარმატებით დაბრუნება დედამიწაზე ცოცხალ არსებებთან ერთად.

იმისათვის, რომ განხორციელებულიყო 4.600 კილოგრამი წონის უზარმაზარი კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაფრენა ცოცხალ არსებებთან ერთად და მისი დედამიწაზე დაბრუნება, საჭირო გახდა ურთულესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, რომლებმაც უზრუნველყვეს:

— კოსმოსური ხომალდის მართული ფრენა და დედამიწაზე მისი დაბრუნება დიდი სიზუსტით გათვალისწინებულ პუნქტში;

— ცხოველთა ნორმალური სასიცოცხლო მოქმედების პირობები კოსმოსურ ფრენაში;

— საიმედო რადიო — და სატელევიზიო კავშირი კოსმოსურ ხომალდთან.

ეს უმაგალითო მიღწევა არის საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი მეცნიერული გმირობა, ჩვენი სამამულო მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის ტრიუმფი, უდიდესი წვლილი მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში, რომლითაც ახალი ერა იწყება კოსმოსის ათვისებაში. ახლა იქმნება პრაქტიკული შესაძლებლობა კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი სასახელო საქმეებით თქვენ ერთხელ კიდევ ცხადყავით მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ძალა და ძლიერება, სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობანი, დიადი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენია. სულით და გულით გისურვებთ ახალ შესანიშნავ წარმატებებს.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებიც თავიანთი შრომით დიდებით მოსავენ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

საბჭოთა მთავრობის განცხადება

კონგოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

საბჭოთა მთავრობამ გააკეთა განცხადება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ახლა შექმნილია კონგოს რესპუბლიკაში.

ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის მამაცურმა ბრძოლამ, აგრესიისა და რესპუბლიკის დანაწილების გეგმებისადმი და რესპუბლიკისაგან კატანგის პროვინციის ჩამოშორებისადმი მტკიცე წინააღმდეგობამ, ნათქვამია განცხადებაში, შეაკავშირეს რესპუბლიკური მთავრობის გარშემო პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას მეთაურობით კონგოელი ერის მთელი ცოცხალი ძალები, მათ შორის წინანდელი ოპოზიციის პატრიოტული წრეები.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები სასწრაფოდ დაეხმარნენ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს მთელი საშუალებებით, მათ შორის შეიარაღებული ძალების გაგზავნით უშიშროების საბჭოს მოწოდების თანახმად. ნათლად დაისახა „ბელგიის ავანტიურის" დიდი ჩაშლა.

მაგრამ ყოველივე ეს, აღნიშნულია განცხადებაში, იმას როდი ნიშნავს, რომ კონგოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა შენელდა და რომ საფრთხე საყოველთაო მშვიდობისადმი, ამ რაიონში რომ წარმოიშვა, აღკვეთილია. იმპერიალისტური აგრესია კონგოში გრძელდება, მხოლოდ თავის ფორმებს იცვლის.

ბელგიის ჯარებს, რომელნიც იძულებული არიან აიბარგონ კონგოს მთელი რიგი რაიონებიდან, თავს უყრიან კატანგაში, სადაც აწიოკებენ კონგოელ პატრიოტებს. ლეოპოლდვილში ამას წინათ გადასხდა ნატოში ბელგიის მოკავშირე კანადის სამხედრო მოსამსახურეთა რაზმი, რამაც კონგოელი მოსახლეობის აღშფოთება და კონგოში დაძაბულობის ახალი გამწვავება გამოიწვია.

ფაქტები მოწმობენ, რომ ბელგიის მთავრობა ნატოში თავის მოკავშირეთა აშკარა წაქეზებით კვლავ უხეშად თელავს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ უკანასკნელ ხანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალისტების სახით კონგოში ჩამოდიან ყოველგვარი ამერიკელი „ექსპერტები" და ამ ფორმით უწინარეს ყოვლისა სამხედრო სპეციალისტები, რომელნიც როგორც ჩანს, ამოცანად ისახავენ ბელგიელთა ჩაშლილი ინტერვენცია გადააქციონ ამერიკელთა ინტერვენციად, რომელსაც ყალბად აფარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს.

ყველა ეს მოქმედება, ხაზგასმულია განცხადებაში, ეწინააღმდეგება აფრიკის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, და არა მარტო აფრიკისას. დანაშაულებრივი აგრესია კონგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, მისი მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ და უთუოდ უნდა შეწყდეს.

სსრ კავშირის მთავრობას იმედი აქვს, რომ უშიშროების საბჭო მიაღწევს თავის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელ შესრულებას და ბოლომდე მიიყვანს კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის აღკვეთის საქმეს. საბჭოთა მთავრობა საგანგებით უჭერს მხარს კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გაიგზავნონ იქ მეთვალყურეებად მთელი რიგი ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლები. იგი მტკიცედ მოითხოვს, რომ აღმოიფხვრას დაბრკოლებანი კატანგის პროვინციაში კონგოს კანონიერი მთავრობის და აფრიკის იმ სახელმწიფოთა ჯარების გაგზავნისადმი, რომლებიც ასრულებენ უშიშროების საბჭოს ბრძანებას იმის შესახებ, რომ ხელი შეუწყონ კონგოში უცხოეთის ინტერვენციის შეწყვეტას.

სსრ კავშირის მთავრობა, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ყველა სახელმწიფოს, რომელნიც ცდილობენ ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ კონგოს რესპუბლიკის მთავრობას აღნიშნული მიზნების მიღწევაში, აცხადებს, რომ იგი თავის მხრივ განახორციელებს ამისათვის საჭირო ღონისძიებებს.

თუ აგრესორები, ნათქვამია განცხადებაში, არ აიბარგებიან კონგოს რესპუბლიკიდან და ხელს არ აიღებენ მისი დანაწილების გეგმებზე, მშვიდობისმოყვარე ძალები იძულებული გახდებიან განახორციელონ სხვა ნაბიჯებიც, რათა აღკვეთონ აგრესია უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. (საკდესი).

დიდი შრომითი წარმატებები

საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის მდივანს ამხანაგ ა. ი. გოგიტიძეს

ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ი. კირჩხელს

საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომის მდივანს ამხანაგ ს. დ. იმნაიშვილს

ქობულეთის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის 100 პროცენტით შესრულებაში.

ქობულეთის რაიონის სახელოვანმა მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 17.428.5 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული, ანუ 2.826 ტონით მეტი, ვიდრე 1959 წლის შესაბამის პერიოდში.

ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა მიმდინარე წელს იკისრეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი — გეგმის დამატებით მისცენ მრეწველობას 1.600 ტონა ჩაის ფოთოლი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ქობულეთის რაიონის მეჩაიეები თავიანთი თავდადებული შრომით პირნათლად შეასრულებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების, აგრეთვე მისი თვითღირებულების შემცირების მაღალ ვალდებულებებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ლენტეხის რაიკომის მდივანს ამხანაგ ი. ტ. ხაბულიანს

ლენტეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ჯამბურიძეს

საქართველოს ალკკ ლენტეხის რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. ნ. მელაძეს

ლენტეხის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ შ. ე. ბუხრაშვილს

ჭიათურის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ პ. ს. აბესაძეს

საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ ი. ა. კოგბახიძეს

ქალაქ ჭიათურის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის 100,7 პროცენტით, ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის — 104 პროცენტით, რძის მიყიდვის 8 თვის გეგმის — 130 პროცენტით, კვერცხის — 115 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა. სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ დმანისის რაიკომის მდივანს ამხანაგ მ. კ. ყულიევს

დმანისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ზ. ბ. მანთაშაშვილს

საქართველოს ალკკ დმანისის რაიკომის მდივანს ამხანაგ ზ. ს. კარალოვს

დმანისის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 101 პროცენტით, კვერცხის — 101 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის — 134 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ამხანაგ დ. ხ. საბაშვილს

ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ მ. კ. ვადაჭკორიას

საქართველოს ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. უ. მოიისწრაფიშვილს

ლანჩხუთის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის 100,1 პროცენტით შესრულებაში. მოკრეფილია 1.200 ტონით მეტი ნედლეული, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების, აგრეთვე მისი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

სიამაყის გრძნობით

პირველად კაცობრიობის ისტორიაში კოსმოსიდან დედამიწაზე დაბრუნდნენ ადამიანის მიერ გაგზავნილი ცოცხალი არსებანი.

სიამაყის გრძნობით ივსება გული, როდესაც მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა აღფრთოვანებით ულოცავს საბჭოთა ხალხს საბჭოთა მეცნიერების, ამ ტრიუმფალურ გამარჯვებას.

ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში.

ვახტანგ კუპრაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილე.

საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

რუსთავი. (საკ. კორ.). საბჭოთა მეორე კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის ამბავმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია რუსთავის მშრომელებში. ამ საკითხზე თავისი აზრი მეფოლადე გრიგოლ ბერეკაშვილმა ასე გამოხატა:

— ჩვენ ნამდვილად უმაგალითო ამბავი შევიტყეთ — ცოცხალი არსებანი კოსმოსიდან პირველად დაბრუნდნენ დედამიწაზე. ეს ისეთი მიღწევაა, რომლის მსგავსი არც ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს რომელმე კაპიტალისტურ ქვეყანას.

ჩვენ, მეტალურგები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეტი პროდუქცია მივცეთ სამშობლოს და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ უფრო განვითარებას.

მახარებს...

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი გამარჯვება მთელმა მსოფლიომ შეიტყო.

მაშინ როცა ამერიკელი აგრესორები ჯაშუშური მიზნით თვითმფრინავებს გზავნიან ჩვენს საჰაერო სივრცეში, ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხალხის წინსვლას კომუნიზმისაკენ, ჩვენი მეცნიერება მშვიდობის საქმეს ემსახურება, ახალი უდიდესი მნიშვნელობის მიღწევებით ამდიდრებს მსოფლიო მეცნიერებას.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის სიხარულს უერთდება ჩვენი კოლმეურნეების სიხარული და კანონიერი სიამაყის გრძნობა, რაც გამოიწვია მეორე კოსმოსური საბჭოთა თანამგზავრი-ხომალდის დედამიწაზე დაბრუნებამ.

ლ. არსენიშვილი.
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.



დაბრუნებას მოგილოცავთ. ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

წარმატებით დამთავრდა მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ექსპერიმენტი. საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა მასზე მყოფი ცოცხალი არსებებიანად სწრაფად შემოიფრინა ჩვენი პლანეტის ირგვლივ 700 ათასზე მეტი კილომეტრი და მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ გამარჯვებამ დიდად აღფრთოვანა მთელი მსოფლიოს ადამიანები.

გუშინ „პრავდის" კორესპონდენტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას მიმართა თხოვნით დაწვრილებით ეამბნათ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის დედამიწაზე დაშვების შესახებ. აი რა გვაცნობეს.

როგორც ცნობილია, კოსმოსური მოგზაურობა მოახდინა ორმა ძაღლმა — ბელკამ და სტრელკამ. ფრენის დროს ისინი იმყოფებოდნენ სპეციალურ კაბინაში, გაყოფილი იყვნენ მხლოდ გამჭვირვალე ბადური ტიხრით, ასე რომ მუდამ შეეძლოთ დაენახათ ერთმანეთი. მათ გარდა თანამგზავრ ხომალდის ბორტზე იყვნენ ვირთაგვები და თეთრი თაგვები, აგრეთვე ბუზები. იყო ზოგიერთი მცენარის თესლი. სოკოები. აქვე იყო წყალმცენარეები, რომლებსაც ბოტანიკოსები „ქლორელას" უწოდებენ, და მცენარე „ტრადესკანცია". კოსმოსური ხომალდის კაბინაში მათი ყოფნა მეცნიერებს იმისათვის დასჭირდათ, რომ გამოარკვიონ დედამიწაზე, კოსმოსური რადიაციის მოქმედების პირობებში ნამყოფ ბიოლოგიურ სახეობათა განვითარების თავისებურებანი.

თანამგზავრი ხომალდის მეთვრამეტე შემოვლაზე მიცემულ იქნა დაშვების ბრძანება. უსაშიშრო დაშვების უზრუნველყოფის სისტემაში შემავალი ყველა ურთულესი ავტომატური მექანიზმი ზუსტად და უტყუარად მოქმედებდა. დაშვების პირველი მომენტიდან დაწყებული, სპეციალური აპარატურის საშუალებით დედამიწას გადმოეცემოდა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ სამუხრუჭო დანადგარის, დაშვების უბანზე მართვის სისტემის მუშაობას, წარმოებდა ჩაწერა პარამეტრების ატმოსფეროს შრეებში ხომალდის გამოვლისას. ყველა ამ მონაცემს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კოსმოსური ხომალდების მომავალი ფრენისა და დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნებისათვის.

უკეთ რომ გავიგოთ საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ გადაჭრილი ამოცანის სირთულე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაბრუნება დაკავშირებულია დიდ სიძნელეთა გადალახვასთან. საკმარისია ითქვას, რომ ატმოსფეროზე კოსმოსური სხეულების გამოვლისას ვითარდება ისეთი მაღალი ტემპერატურა, რომელსაც როგორც წესი, მეტეორიტებიც კი ვერ უძლებენ და იწვიან ისე, რომ დედამიწის ზედაპირამდე ვერ აღწევენ. თანამგზავრი ხომალდის სპეციალურმა სითბოურმა საფარმა ხელი შეუწყო ამ სიძნელეთა გადალახვას.

როგორ მიმდინარეობდა ხომალდის დაშვების უკანასკნელი ეტაპი?

როცა თანამგზავრი ხომალდი უკვე მცირე სიმაღლეზე იყო. მას კატაპულტირების საშუალებით გამოეყო კონტეინერი შიგ მყოფი ცოხველებითურთ. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ მთლიანად გარანტირებული ყოფილიყო ოთხფეხი კოსმოსური მგზავრების დედამიწაზე დაშვების უსაშიშრობა. კოსმოსური ხომალდის დაჯდომა ხომ პირველად ხდებოდა. თვით თანამგზავრი ხომალდიც მთლიანი და დაუზიანებელი დაეცა. ისევე როგორც კონტეინერი საცდელი ცხოველებიანად.

დაშვება მოხდა ნახანავებით გარშემორტყმულ ვაკე მდელოზე.

ამ ისტორიულ ამბის პირველი მოწმენი გახდნენ მახლობლად მომუშავე კოლმეურნენი. ისინი გარს შემოეხვივნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ სამყაროდან მოვლენილ არაჩვეულებრივ „სტუმარს". ერთმა მათგანმა კონტეინერზე წაიკითხა წარწერა, რომელიც შეიცავდა თხოვნას — ნაჩვენები მისამართით ეცნობებინათ მისი ადგილმდებარეობა. მაგრამ დეკეშის გაგზავნა საჭირო არ გახდა.

მალე შეკრებილ ადამიანთა თავზე გამოჩნდა მეთვალყურე თვითმფრინავი. მან გადმოხსა სპეციალისტები, რომლებსაც პირველად უნდა გაეღოთ კოსმოსიდან მოფრენილი ხომალდის კარი.

ცოცხალი რიან თუ არა კონტეინერში მყოფი ძაღლები? და აი, ბოლოს, საძრომი გაიღო. იქიდან გამოხტნენ ბელკა და სტრელკა. ცხოველებს ჩინებულად გადაეტანათ დაშვება. მათ გაუხარდათ მიწა და სუფთა ჰაერი, მდელოზე დარბოდნენ. ადამიანებს ელაქუცებოდნენ მხიარულად ყეფდნენ. ერთი საათის შემდეგ დაშვების ადგილას მოფრინდა ვერტმფრენი, საიდანაც გადმოვიდა ექიმი. მან შეამოწმა ცხოველთა მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ მათ ერთი გაკაწრული ან დალბრებული ადგილიც არ ჰქონდათ და სავსებით ჯანსაღად იყვნენ...

21 აგვისტოს წინაღამეს ოთხფეხი კოსმონავტები მოსკოვში ჩამოიყვანეს. გუშინ მათ „დასვენების დღე" ჰქონდათ. დღეს „სამუშაო დღეა". კოსმოსური მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ცხოველებმა კიდევ ბევრი რამ უნდა მისცენ ჩვენს მეცნიერებას.

საუბრის დასასრულს „პრავდის" კორესპონდენტს უთხრეს:

— ამ ახალი შესანიშნავი მედიკურ-ბიოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად მიღებულია მეტად ძვირფასი მასალები. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ექსპერიმენტი, რომელიც მარტოოდენ მეცნიერულ ინტერესებს ისახავდა. თანამგზავრ ხომალდზე არ ყოფილა არც ერთი ხელსაწყო, რომელიც რაიმე სხვა მიზნისთვის იყოს განკუთვნილი. მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაშვების თვით ფაქტს. რაც ისტორიაში პირველად განხორციელდა. საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების ეს უბადლო გამარჯვება კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენის წინასწარმაუწყებელი გახდა.

„პრავდა", 22-VIII.

როგორ მოხდა ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ყვითელი ჩანი

ბოგონები ახალგაზრდული ღიმილით შემოგვცქერიან... სიბეჯითით სახელი აქვთ განთქმული ჩაის პლანტაციებში. ვინ არ იცნობს ცხაკაიას რაიონის სოფელ უშფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიე ზინა გაბელიას! იგი კომუნისტური შრომის ბრიგადის სული და გულია. ზინამ ჩაის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ 20 ივლისისათვის შეასრულა — 0,5 ჰექტარ ფართობზე ნაცვლად 2.000 კილოგრამისა, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გაეცნო რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას მეჩაიეებისადმი, შრომისმოყვარე გოგონამ ვალდებულება იკისრა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს სულ ცოტა 7 ტონა ჩაი.

ცხაკაიელ ზინა გაბელიას როდი ჩამორჩება სიბეჯითეში გალის რაიონის სოფელ თაგილონის საშუალო სკოლის მეათეკლასელი ნანული მარშავა. ზაფხულის არდადეგების დროს მან მუშაობა დაიწყო მშობლიურ კოლმეურნეობაში და ვალდებულება აიღო 0,5 ჰექტარზე მოეკრიფა 3 ტონა ჩაის ფოთოლი. ნანულომ უკვე სახელმწიფოს ჩაბარა 3.900 კილოგრამი ჩაი და გადაწყვიტა სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

* * *

სურათებზე: ზ. **გაბელია** (ქვემოთ) და **ნ. მარშავა.**

ფოტო ი. **ნანიკაშვილისა** და **ი. სეფიაშვილისა** (საქდესის ფოტოქრონიკა)

გუშინ ჩაის კლანტაციებში

◆ **ბათუმი.** ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში **ნაზი დოლიძემ** გუშინ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, სოციალისტური შრომის გმირმა **ტატიანა ციხეაძემ** 48, **მარგალიტა მუავიამ** — 45 კილოგრამი.

◆ **ჩხოროწყუ.** დღეისათვის რაიონში მოკრეფილია 5.138 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 327 ტონით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, წლიური გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით.

სოფელ ნაფიჩხუს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ტატუშა გოგუამ** გუშინ 99 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. სოფელ ლესიჭინის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის უხუცესმა 75 წლის **კონდრატე სიჭინავამ** მოკრიფა 18 კილოგრამი, ხოლო მისმა მეუღლემ **სიქო სიჭინავამ** 22 კილოგრამი. მოხუც კოლმეურნეებს უკვე მოკრეფილი აქვთ 2.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

◆ **ზუგდიდი.** სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებული 720 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 725 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ახლა ჩაის კრეფენ ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში. **ელიკო გულუამ** 20 კილოგრამის ნაცვლად გუშინ 60 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, **ტატიანა გეთიამ** — 40 კილოგრამი.

სოფელ ცაიშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირმა **ვეზიკო გაბელიამ** გუშინ 50 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ეთერ თოდუამ — 45.

საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვისათვის

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გაშლილია ულმობელი, ყოველდღიური ბრძოლა წარსულის საზიზღარი გადმონაშთების — ქურდობის, ხულიგნობის, სახელმწიფო, ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით მიღებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა, საგრძნობლად შეამცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დაირაზმა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საბალხო რაზმებში ჩაებნენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აქტიურად ებრძვიან დანაშაულს ყოველგვარ გამოვლინებას.

მაგრამ, როგორც რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. მ. თოფურიძემ აღნიშნა თავის მოხსენებაში, — საქართველოს სს რესპუბლიკაში დანაშაულებრივი მოქმედებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, — საზოგადოებრივი წესრიგს დაცვის საქმეში გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის. უფრო მეტიც. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ადგილი აქვს დანაშაულებრივ გამოვლინებათა ფაქტებს, მრავლია გაუხსნელი საქმე, დამნაშავენი დაუსჯელი არიან.

საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები ზოგჯერ ნაკლებად ეყრდნობიან ადგილობრივ აქტივს, საკმაოდ ვერ იყენებენ მასების ძალას. ასე, მაგალითად წყალტუბოს, აბაშისა და სხვა რაიონებში.

არის უხარისხო გამოძიების შემთხვევებიც. ამბროლაურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი შ. კერესელიძე თავიდანვე ზერელედ მოეკიდა ონის რაიონის ერთ-ერთ მაღაზიაში დიდძალი თანხის გაფლანგვის საქმეს. მან ძიება გააჭიანურა, მაღაზიის გამგე ი. შიმშილაშვილი ვერ ამხილა, დაუჯერა მას, რომ იგი თითქოს დამნაშავე არ იყო. სურათი ისე დახატა, თითქოს შიმშილაშვილი მაღაზიაში ცეცხლის გაჩენის დროს რაიონში კი არა, თბილისში იმყოფებოდა. დაეყრდნენ შიმშილაშვილის მიერ წარმოდგენილ ყალბ დოკუმენტს და იგი პატიმრობიდან გათავისუფლეს.

რესპუბლიკის პროკურატურამ, — თქვა ამხ. თოფურიძემ, — სასწრაფო ზომები მიიღო. აღნიშნული საქმის ძიება დაევალა გამომძიებელ ა. ჯავახიშვილს, რომელმაც დაუზუსტა, რომ ბოროტმოქმედი შიმშილაშვილი მაღაზიაში ცეცხლის გაჩენის დროს ონში, ადგილზე იმყოფებოდა. ისიც გამოირკვა, რომ შიმშილაშვილს მაღაზიის გადაწვის ცდის დროს ძმის სახლში ჰქონდა საწყობი, სადაც 120.000 მანეთის საქონელი ჰქონდა შენახული.

კარგმა გამოძიებამ დამნაშავე შიმშილაშვილს ფარდა ახადა: დადასტურდა, რომ დიდძალი თანხის გაფლანგვის კვალის დაფარვის მიზნით მან განიზრახა მაღაზიის დაწვა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ი. შიმშილაშვილს 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

უხარისხო გამოძიების ფაქტი იყო აგრეთვე საგარეჯოს რაიონის პროკურატურაში. არადამაკმაყოფილებელია საგამომძიებლო საქმეების წარმოება ტყიბულის, მახარაძის, ახალციხის, საჩხერისა და სხვა რაიონების პროკურატურაში. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ კანონით დადგენილი ღონისძიებების ერთგვარი შესუსტება შემჩნეულია თიანეთის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებში.

არის იმის ფაქტებიც, რომ ზოგიერთ საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები საქმის ღრმად შესწავლის, ანალიზის ნაცვლად ხელაღებით იცავენ დამნაშავეებს, სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს აძლევენ ყალბ, არაპრინციპულ დახასიათებასა და მიმართავენ, ითხოვენ დამნაშავის კოლექტივის აღსაზრდელად დაბრუნებას. ნაცნობ-მეგობრობის ასეთ დახმარებას ცუდი შედეგი მოსდევს. ქობულეთის რაიონში ვინმე ჯინჭარაძემ ხულიგნობა ჩადინა, ორ მოქალაქეს ჭრილობა მიაყენა. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების თხოვნით რაიონის პროკურატურამ დამნაშავე გამოსასწორებლად კოლმეურნეობას დაუბრუნა. არ გასულა სამი თვე, რომ იმავე ჯინჭარაძემ მოკლის მუქარით გააუპატიურა მოქალაქე მ-ი. გაუსწორებელი ბოროტმოქმედი დაპატიმრებულ იქნა და სისხლის სამართალში მიეცა. მსგავსი მაგალითები იყო თბილისში, ჭიათურაში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

თათბირზე გამოსულმა ქალაქ თბილისის პროკურორმა ა. პაიჭაძემ ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მილიცია-პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა ხელიხელჩაკიდებულმა მუშაობის აუცილებლობაზე. სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის ბრძოლაში ადმინისტრაციული ორგანოები, მასების ფართო მხარისდაჭერით. შეხმატკბილებულად უნდა მოქმედებდნენ.

სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ დაცვის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მ. ვეფხვაძემ.

აჭარის ასსრ პროკურორი გ. გოგიტიძე, თბილისის სტალინის რაიონის პროკურორი ვ. ფონია, თელავის რაიონის პროკურორი ა. გეგია, ქალაქ სოხუმის პროკურორი ე. არზიანი, მახარაძის რაიონის პროკურორი ე. გოგუაძე და სხვები შეეხნენ დანაშაულობათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს, ამ საქმეში მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების საკითხებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ, მან აღნიშნა, რომ ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი ემიერული შრომით წარმატებით იბრძვის შვიდწლედის დავალებათა შესასრულებლად, საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცედ დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ XXI ისტორიული ყრილობის შემდეგ მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, თვითეული მშრომელის ღვიძლ საქმედ გადაიქცა.

საბჭოთა ადამიანები აქტიურად ჩაებნენ სახალხო რაზმებში. ისინი მხარში უდგანან პროკურატურა-მილიციის, სასამართლოს ორგანოებს. და ეთთან ერთად აკეთებენ დიდ, საერთო-სახალხო საქმეს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მასების დარაზმვით მიდწეულია პირველი წარმატება — შესამჩნევად შემცირდა სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის ფაქტები. მაგრამ ჯერ კიდევ არის ნაკლიც. ზოგიერთ რაიონში გადამჭრელ ზომებს არ იღებენ დამნაშავეთა მიმართ, ტოლერანტდება გამოძიება. არის საქმის გაუხსნელობის შემთხვევები.

ამხ. ფ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოები ვალდებული არიან მთლიანად გარდაქმნან მუშაობა. ამ ორგანოების მუშაკები უნდა იყონ პრინციპული, შეურიგებელნი იმათ მიმართ, ვინც უპატივცემლოდ ეკიდება საბჭოთა კანონებს, არღვევს მათ. ამავე დროს მთელი გულისხმიერებით უნდა ვეპყრობოდეთ ადამიანებს. აღმზრდელობით მუშაობის გაუმჯობესება მთავარი და გადაუდებელი.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ღრმად ჩასწვდნენ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობას, მათ შორის გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, შეუნელებლად იზრუნონ მათი თეორიული დონის ამაღლებისათვის. პროკურატურის ორგანოები უნდა განვამტკიცოთ საქმის ერთგული, უნარიანი მუშაკებით.

საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვა, — თქვა დასასრულ — ამხ. ფ. დუმბაძემ, — წარსულის საზიზღარი გადმონაშთების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, პროკურატურა-მილიციის, სასამართლო ორგანოების სისხლხორცეული საქმეა.

ჭიათურა — მარგანეცი

სტუმრად მაღაროელებთან

[illegible] ელებთან სტუმრად იყვნენ მეგობრები უკრაინის ქალაქ მარგანეცი-დან. ქართველმა მაღაროელებმა უკრაინელ მეგობრებს გულთბილი შეხვედრა და გაცილება მოუწყეს.

„სტუმრად მზიური საქართველოს მაღაროელებთან“ — ამ სათაურით მარგანეცის საქალაქო გაზეთი „შახტარ მარგანეცია“ აგვისტოს ორ ნომერში ბეჭდავს დელეგაციის წევრის მაღაროთა შემკეთებელი ქარხნის ხარატს **ა. მოროზოვის** შთაბეჭდილებებს.

„სოციალისტურ შეჯიბრებაში უფრო და უფრო იფურჩქნება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, — წერს ავტორი. — ამის საუკეთესო დადასტურებაა მარგანეცის ორი აუზის — უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა მეგობრობა“...

„...და აი მივედით ქალაქ ჭიათურაში, — განაგრძობს ა. მოროზოვი, — სადგურზე გულთბილად მხურვალე ტაშით, გულწრფელი მისალმებებით და ცოცხალი თაიგულებით შეგვხვდნენ“. ავტორი დაწვრილებით აღწერს ლენინის, სტალინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროებში, მაღარო „ახალ ითხვისში“ გატარებულ დღეებს, მაღაროელებთან შეხვედრებს. იგი უკრაინელ მეგობრებს აცნობს ჭიათურელთა პერსპექტივებს, იმ დიდ მშენებლობას, რაც ამჟამად ქართული მარგანეცის ქალაქში მიმდინარეობს.

სოციალისტური შრომის გმირებმა ტ. ფოფხაძემ და ი. მელნიკოვმა გააგრძელეს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება...

თბილისის რკინიგზეტონის ნაწარმის პირველი ქარხნის კოლექტივმა 7 თვის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა და მშენებლებს გეგმის გადამეტებით მისცა 1.200 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ საერთო წარმატებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეარმატურეთა ბრიგადამ, რომელსაც ი. ტოვარიოკოვი ხელმძღვანელობს.

* * *

სურათზე: მეარმატურე ა. მარიამიძე (მარცხნივ) და ბრიგადირი ი. ტოვარიოკოვი.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**



გეგმა კანონია

გ. გეგეშიძე,

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა გეგმაზომიერად ვითარდება. ამაშია ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სისტემის უდიდესი უპირატესობა.

დაგეგმვისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების საკითხები ყოველთვის იდგა ჩვენი პარტიის უურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა უდიდესი მუშაობა გასწია წარმოებისა და განაწილების ყოველმხრივ ზუსტი აღრიცხვისა და კონტროლის დასაწესებლად, რაც აუცილებელია გეგმების შესრულების ანალიზისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესწავლისათვის.

1921 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინი საერთო-საგეგმო კომისიის თათბაზე გ. მ. კრჟიჟანოვსკისათვის გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „უაღრესად აკურატულად ადევნონ თვალყური ჩვენი სამეურნეო გეგმების **ნამდვილი** შესრულების ფაქტებსა და ციფრებს“.

ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში გეგმა გახდა კანონი, რომელიც უყოყმანოდ უნდა შესრულდეს. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი გეგმები არის არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-ვარაუდები, არამედ გეგმები-**დირექტივები**, რომელნიც **სავალდებულონი** არიან ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც **განსაზღვრავენ** ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას **მომავლისათვის** **მთელი** ქვეყნის მასშტაბით“.

გეგმა კანონია — ეს განუხრელი ლენინური დებულება ახალი დიდი ძალით დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებით „მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის თაობაზე სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მამდინარეობის შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში მიღწეული წარმატებები მოწმობს მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი პარტიული ხელმძღვანელების როლის ამაღლებას. პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოთა მუშაობას, კონკრეტულად ერკვევიან ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებში.

ამასთან ერთად პლენუმმა აღნიშნა, რომ ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანო და პირველადი პარტიული ორგანიზაცია საკმაო მონდომებით არ იბრძვის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების თაობაზე პარტიის დირექტივების განხორციელებისათვის, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ.

გეგმის შეუსრულებლობა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევაა, რასაც, რა თქმა უნდა, პარტია და ხალხი ვერ შეურიგდებიან. გეგმიანი დავალებების შეუსრულებლობა ეკონომიურ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, სამშობლოს გარკვეული რაოდენობით აკლდება საჭირო პროდუქცია, ირღვევა ნაწარმის ასორტიმენტი, ძვირდება პროდუქცია. ერთი საწარმოს მიერ გეგმის შეუსრულებლობა ხშირად იწვევს მეორე საწარმოს ჩამორჩენასაც. იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

აი რატომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიული ორგანოებისაგან გადაჭრით მოითხოვა აამაღლონ მომთხოვნელობა მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელი კადრების მიმართ სახელმწიფო გეგმების შესრულების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, აღზარდონ ისინი უმკაცრესი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, მინდობილი საქმისადმი მაღალი შეგნებულობით დამოკიდებულების, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის სულისკვეთებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოების ჩამორჩენა ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის შესრულებაში. ეს მდგომარეობა ფართო მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გეგმიან დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მაგალითით, აგრეთვე თბილისში სამრეწველო წარმოების ზრდის მაგალითით თვალნათლივ ჩანს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის განხორციელების დიდი მნიშვნელობა. საწარმოებთან ხელმძღვანელობის მიახლოება, მეურნეობის მართვაში ადგილობრივი პარტიული ორგანოების როლის ამაღლება. მასების მზარდი შრომითი აქტივობა აჩქარებს საწარმოო ძალების განვითარებას, ზრდის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას. მაგრამ, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში, „რომ უფრო სწრაფად ვიაროთ წინ. საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ მეურნეობის მართვის ახალი ფორმის დიდი უპირატესობანი, რომელსაც საფუძვლად უდევს ადგილების ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპი“.

თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ახორციელებენ შვიდწლედის გეგმიან დავალებებს. თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს 1959 წლის და მიმდინარე წლის შვიდი თვის საწარმოო გეგმები. შვიდწლედის დასაწყისიდან მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასეული მილიონობით მანეთის პროდუქცია— 21,8 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წლისახვრის მანძილზე.

ქალაქის მრეწველობამ 103,1 პროცენტით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 133 მილიონი მანეთით, მიღებულია 103 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი ეკონომია, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 95 მილიონი მანეთი.

1959 წელს და მიმდინარე წლის ექვს თვეში ქალაქის საწარმოებში დაინერგა 62 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი, 182 ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხი, მოდერნიზებულია მოწყობილობის 366 ერთეული, დანერგილია 46 სხვადასხვა საამწეო-სატრანსპორტო დანადგარი და მექანიზმი.

ამ მრავალფეროვანი მუშაობა გასწიეს კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში, სადაც უკვე მუშაობს 16 ნაკადური ხაზი დახშული ტექნოლოგიური ციკლით, ამან ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად 23,2 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, 34,5 პროცენტით შეამცირა სერიული ჩარხის დამზადების შრომატევადობა, 43 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. „163“ მოდელის ჩარხის ნაკადურ წარმოებაში მონაწილეობას იღებს სპეციალური მოწყობილობის 74 ერთეული.

ნაკადური წარმოებისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის ცოტა მუშობა როდია გაწეული ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, სახეხი ჩარხების, შამპანური ღვინის ქარხნებში, ჩაის გადასაწონ ფაბრიკაში, ქარხანა „ელექტროავტომატსა“ და სხვა საწარმოებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ელექტროშედუღებას დიდი მომავალი აქვს. შედუღება ტექნიკური პროგრესის ძლავრი საშუალება გახდა. იგი შესაძლებლობას იძლევა მომჭირნედ გამოვიყენოთ ლითონი, ელექტროენერგია.

თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების“ ახალგაზრდა კოლექტივმა ითვისა და გამოუშვა **АДК 500-ს** ტიპის ავტომატები რგოლური ნაკერების შესადუღებლად, რომლებიც ათჯერ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ამჟამად ქარხანაში ითვისებენ ტს-32 ავტომატს, რომელიც თვის ბოლომდე გადაეცემა სერიულ წარმოებაში და შრომის ნაყოფიერებას 10-12-ჯერ გაადიდებს. ქარხანაში ვარაუდობენ უახლოეს ხანში გამოუშვან პლაზმური სხივებით შედუღებისა და ჭრის აპარატის პირველი საცდელი ნიმუში. ეს აპარატი საშუალებას მოგვცემს შეუფერხებლად ვჭრათ 10-15 სანტიმეტრი სისქის სპილენძი, ალუმინი და სხვა ფერადი ლითონები.

„ელექტროშედუღების“ ქარხნის კოლექტივს დიდი მეგობრობა აკავშირებს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების მთავარი ინსტიტუტის მუშაკებთან. პატონელთა დახმარება და მეგობრობა მათ ხელს უწყობს ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით გადაჭრაში.

ჩაის საწონი ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ნაყოფიერი მუშაობა გაიჩაღა შვიდწლედის ვადამდე შესასრულებლად, ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად კომუნისტებისა და მთელი კოლექტივის ძალების მობილიზაციისათვის. ამის შედეგად ფაბრიკის ელიფური საწარმოო სიმძლავრე დამატებით კაპიტალდაბანდებათა გაუწევლად გაიზარდა ათასი ტონა დაფასოებული ჩაით. შვიდწლედის დამდეგიდან ფაბრიკის კოლექტივმა ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 30 მილიონი მანეთის 652 ტონა მზა დაფასოებული ჩაი. მოპოვებულმა წარმატებებმა ფაბრიკის კოლექტივს შესაძლებლობა მისცა ეკისრა ახალი ვალდებულება — 1960 წლისათვის მიაღწიოს წარმოების იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია შვიდწლედის ბოლოსათვის.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი მეხუთე წელია ზედიზენდ იღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას და პირველ პრემიას.

ერთსულოვნად მოიწონეს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები, თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა ახალი გადიდებული ვალდებულები იკისრეს. მაგალითად, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის მაღალი შეგნების ნიმუშები გვიჩვენეს ჩვენმა სახელოვანმა ელმავალმშენებლებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს 1960 წლის ბოლომდე დაზოგონ იმდენი მასალა, რამდენიც საჭიროა ერთი ელმავლის გამოსაშვებად.

ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების, ვ. გაგანოვას პატრიოტული თაოსნობის მიმდევართა რიგები.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მონაწილეთა შორის, რომლებიც დაჯილდოვებულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, არიან ჩვენი ქალაქის მშრომელები: გ. ჩადუნელი — ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნიდან, შ. ფირცხალავა — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნიდან, ზ. რუსია — „ელექტროავტომატიდან“, ა. კოკრაშვილი — თამბაქოს № 1 ფაბრიკიდან.

ქალაქის ათი ათასზე მეტი გამომგონებელი და რაციონალიზატორი აქტიურად მონაწილეობს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის დარგებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პრაქტიკულად წყვეტს წარმოების გაუმჯობესების ძირეულ საკითხებს.

უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე ქალაქის მრეწველობაში დაინერგა 6 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც დაახლოებით 40 მილიონ მანეთ წლიურ პირობით ეკონომიას იძლევიან.

აბრამ წარმატებები მეტი გვექნებოდა, ყველა პარტიული, სამეურნეო ორგანიზაცია უფრო ღრმად და კვალიფიციურად რომ ერკვეოდეს წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხებში, ფართოდ იყენებდეს შინარეზერვებს, აღწევდეს სახელმწიფო გეგმების უყოყმანოდ შესრულებას, იღებდეს დროულ და კონკრეტულ ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამწუხაროდ, კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც რატომღაც ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებას; რომ სახელმწიფო გეგმა კანონია და მისი დარღვევა არავის არ ეპატიება.

რა თქმა უნდა, ყველა საწარმოში რომ იყოს გაჩაღებული ნამდვილი ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, ფიოლოგად რომ იჩენდნენ საჭირო აქტივობასა და საქმიანობას მრეწველობის ტექნიკური აღჭურვის განხორციელებაში, ჩვენ სწრაფად აღმოფხვრიდით ჯერ კიდევ არსებულ კონსერვატიზმს. განა ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ არის არც ერთი კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმო? უფრო მეტიც, ცალკეულ საწარმოებში ძალიან დიდია ხელით შრომის ხვედრითი წილი.

უკანასკნელ ხანს ქალაქის საწარმოებმა გამოუშვეს ბევრი ახალი სრულყოფილი სახის პროდუქცია. მაგრამ ამასთან ერთად აქა-იქ მაინც ზოზინია გადადიან ახალი მანქანების ათვისებასა და წარმოებაზე, განაგრძობენ მოძველებული ნაწარმის გამოშვებას. ეს პირველ რიგში ეხება ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმაშენებლო ქარხანას, ქარხანა „ელექტროავტომატს“, „ელექტროგამშვებს“ და ა. შ.

ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ განაგრძობენ მუშობას მოძველებული მოწყობილობით, ადამისდროინდელი მეთოდებით. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით არის დაუდგმელი და გამოუყენებელი მშენებლო ქარხნიდან, ზ. რუსია — „ელექტროავტომატიდან“, ა. კოკრაშვილი — თამბაქოს № 1 ფაბრიკიდან.

ქალაქის ათი ათასზე მეტი გამომგონებელი და რაციონალიზატორი აქტიურად მონაწილეობს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის დარგებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პრაქტიკულად წყვეტს წარმოების გაუმჯობესების ძირეულ საკითხებს.

უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე ქალაქის მრეწველობაში დაინერგა 6 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც დაახლოებით 40 მილიონ მანეთ წლიურ პირობით ეკონომიას იძლევიან.

აბრამ წარმატებები მეტი გვექნებოდა, ყველა პარტიული, სამეურნეო ორგანიზაცია უფრო ღრმად და კვალიფიციურად რომ ერკვეოდეს წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხებში, ფართოდ იყენებდეს შინარეზერვებს, აღწევდეს სახელმწიფო გეგმების უყოყმანოდ შესრულებას, იღებდეს დროულ და კონკრეტულ ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამწუხაროდ, კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც რატომღაც ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებას; რომ

ეს საბჭოთა ხალხის გენიის მონაპოვარია

ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი წარმატება

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის ფრენის წარმატებით დამთავრების გამო

მეორე საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი საცდელი ცხოველებითურთ ... ევის პროგრამის დამთავრების შემდეგ, რომელიც ნავარაუდევი იყო ერთი ... ღამისათვის, დედამიწიდან მეცემული ... ნებით დაეშვა თავისი ორბიტიდან. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უმაგალითო მიღწევის ეს განსაცვიფრებელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. კაცობრიობა ტაშს უკრავს კოსმოსის საბჭოთა დამპყრობლების ... ახალ გამარჯვებას.

ჩინელი ხალხი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა ხალხს, მეცნიერებსა და ინჟინერ-ტექნიკურ შუშაკებს ახალ უდიდეს მიღწევას, წერს „ჟენმინ ჟიბაო“ სტატიაში „დიადი თანამშრომა კოსმოსურ ფრენაში“. საბჭოთა კავშირში პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების მომენტიდან დღეგ სამ წელიწადსაც არ გაუვლია, ნათქვამია სტატიაში, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში საბჭოთა კავშირმა კოსმოსური ფრენის დარგში კვლევის უსწრაფეს განითარებას მიაღწია, მარტო მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირმა ორჯერ გაუშვა ბალისტიკური რაკეტები წყნარი ოკეანის რაიონში და განახორციელა ორი კოსმოსური ხომალდის გაფრენა. საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაობის შესანიშნავმა ღონისძიებებმა გზა გაუკვლიეს ადამიანის საბლანეტათშორისო ფრენას. საბჭოთა კავშირმა კოლოსალურ პროგრესს მიაღწია კოსმოსური ფრენის კვლევის დარგში, სულ უფრო და უფრო შორს მოიტოვა უკან ამერიკის ... ეფრთებული შტატები.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ... ალში მიღწევამ, ხაზგასმით აღნიშნავს ... ზეთი, ცხადყო, სოციალისტური წყობილების შეუდარებელი უპირატესობა.

ინეთის გამოჩენილი მეცნიერები მხურ-ვალედ მილალმებიან საბჭოთა კოსმოსური ხომალდის მშვიდობით დაბრუნებას დედამიწაზე და მიიჩნიათ, რომ ეს მოვლენა ... ედამიწიდან ფენომენური ედევნებათ ცხოველების საერთო მდგომარეობა ... ა და ქცევისაფვის.

კოსმოსში ადამიანის მომავალი გაფ-ენისთვის, — განაცხადა მეცნიერ-ა, — დიდი მნიშვნელობა აქვს სი-უსტეს, რომლითაც განხორციელდა დედამიწაზე დაშვება, კაფსული და თვითონ ... ომალი დაეშვნენ ნავარაუდევ რაიონში ... ასლოვებით 10 კილომეტრი სიზუსტით, ... ოსმოსური ფრენის დროს ეს შედეგი ... ასაცვიფრებელია. (საკდესი).

ყველაზე შესანიშნავი ექსპერიმენტი

კოსმოსურ თანამგზავრ ხომალდზე წა-ბოლოებული მედიკო-ბიოლოგიური ექსპე-ტი, თქვა საკდესის კორესპონდენტ-ან საუბარში სსრ კავშირის მედიცინის ... ეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წე-რმა პროფესორმა ვ. ვ. პარინმა, ყველა-ე შესანიშნავია ფიზიოლოგიისა და მე-ბიცინის მთელს ისტორიაში. იგი უნდა ... ეგრძნოთ გადამწყვეტ ნაბიჯად კოსმოს-ი ადამიანის გაფრენის გზაზე. საბჭოთა ... ეტნიკამ არა მარტო უზრუნველყო სა-ოცხლისათვის საჭირო პირობების შენა-ჩუნება კოსმოსურ ხომალდში, არამედ ... ესაძლებელი გახადა „კოსმონავტების“ ... აბრუნება დედამიწაზე. ეს ყველაზე ... თავარია.

ამოცანის პირველი ნაწილი, ანუ ცხოვ-ელქმედების პირობების შექმნა კოს-ოსური ხომალდის კაბინაში, გადაჭრილ ... ქნა დედამიწის მეორე საბჭოთა თანამგ-ავრის ფრენისას „ლაიკით“ ცდის დროს. ... ალი ექსპერიმენტით ეს პირობები და-ტებით იქნა შემოწმებული.

სრულყოფილი რადიოტელემეტრიული ... ექნიკის გამოყენებამ მნიშვნელოვნად ... აფართოოა კოსმოსური ხომალდიდან ... ოებული ფიზიოლოგიური ინფორმაცი-ა მოცულობა იმ ცნობებთან შედარე-ით, რომლებიც მეცნიერებმა „ლაიკით“ ... ედის დროს მიიღეს.

პროფესორ პარინს განსაკუთრებულ ... ადგილად მიაჩნია თანამგზავრ ხომალდი-ა ბიოლოგიური მრეწველობის სამმართველოს ... ეთო მოხმარების საგნების ქარხნის ... ირექტორის ამხ. ოკრუაშვილის და პარ-ტიული ბიუროს მდივნის ამხ. ბაქიძის ... ოსნენებით ბარათი, რომელშიც ნათქვა-ა: „ახალი ტექნიკის დანერგვის საკით-ების ტექნიკური კომისია ჩვენთან არ ... ოფიერება — 62,9 პროცენტით. 532 ... თასი მანეთით გადიდდა პროდუქციის ... ვითლირებულება. ამის შემდეგ გასა-ერველი არ არის, რომ პარტიის საქა-ალაქო კომიტეტი იძულებული გახდა შე-ეცვალა და განემტკიცებინა ამ საწარმოს ... ელმძღვანელობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 ... ლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტი-ებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ... ძლავრ დასაყრდენს წარმოადგენენ პარ-ტიული კონტროლის და ტექნიკური პრო-პაგანდის ხელშემწყობი კომისიები.

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში ... პარტიული კონტროლის კომისიის ინი-ციატივით თბილისის ხორცკომბინატში ... ადამანტაუდა პირუტყვის საკლავი და გა-ასამუშავებელი მექანიზებული კონვეი-ერი, რამაც შეამსუბუქა ფიზიკური შრო-ა, 25 პროცენტით შეამცირა ამ ოპერა-ციებზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობა და 20 პროცენტით აამაღლა შრომის ნა-ოფიერება.

მაგრამ ამასთან მთელ რიგ საწარმოებ-ი პარტიული კონტროლის კომისიები ... უსტად მუშაობენ იმ ნაკლოვანებათა ... ამოფლინებისა და შესწავლისათვის, რო-�ებიც ახალი ტექნიკისა და ტექნოლო-გიის დანერგვის საქმეში არსებობს, ამ ... კითხებს განსახილველად არ აყენებენ ... ბიუროებსა და პარტიულ კრებებზე.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ... შუამბა კომისიების საქმიანობის გამო-ყენებისათვის, — განაცხადა მეცნიერ-ა, — დიდი მნიშვნელობა აქვს სი-უსტეს, რომლითაც განხორციელდა დე-დამიწაზე დაშვება, კაფსული და თვითონ ... ომალი დაეშვნენ ნავარაუდევ რაიონში ... ასლოვებით 10 კილომეტრი სიზუსტით, ... ოსმოსური ფრენის დროს ეს შედეგი ... ასაცვიფრებელია. (საკდესი).

დედამიწაზე დაშვებას უწოდებს ახალ ნიშანსვეტს ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისებაში. გეოფიზიკოსმა ჯო შიუ-ჯანმა განაცხადა, რომ კოსმოსური ხომალ-დის დედამიწაზე დაბრუნება უაღრესად რთული და ძნელი ამოცანაა. და მიუხედა-ვად ამისა საბჭოთა მეცნიერებმა წარმატე-ბით გადაჭრეს ეს პრობლემა. საბჭოთა კავშირმა უსწრაფეს პროგრესს მიაღწია რა-კეტების ფრენის მართვაში, ორბიტის ელ-ვის სისწრაფით და ზუსტ გაანგარიშებაში, შორს მოიტოვა რა უკან შეერთებული შტატები.

ბულგარეთის მშრომელნი გულწრფელ ალტაცებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ კოსმოსის დაპყრობაში პირველობას მტკიცედ ინარჩუნებს საბჭოთა კავშირი. გაზეთები „რაბოტნიჩესკო დელო“ და „ნა-როდნა მლადეჟი“ მასალებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევის შესახებ უთმობენ თითქმის ორ-ორ გვერდს, უკეთებენ რა მათ სათაურებს: „მთელი მსოფლიო ალტაცებით იხრის მუხლს სსრ კავშირის განსაცვიფრებელი გამარჯვების წინაშე“, „საბჭოთა კავშირის ტრიუმფი სოციალიზმის ტრიუმფია“, „საბჭოთა ადამიანი სტარტზე კოსმოსში“.

უკვე სულ ახლოსაა ის დრო, როცა ადამიანი გაფრინდება კოსმოსში, წერს მოწინავე სტატიაში „რაბოტნიჩესკო დელო“. და ადამიანები მუდამ სულით და გულით მადლიერ იქნებიან საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც პირველმა შეიცნო კოსმოსის საიდუმლოებანი, გაიკვლია უცნობი გზები სამყაროში. ბულგარელი ხალხი, წერს გაზეთი, მოხარულია, რომ მისი ღვიძლი უფროსი ძმა — საბჭოთა ხალხი ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს.

ყველასათვის, მათ შორის სოციალიზმის მტრებისთვისაც, წერს გაზეთი „რაბოტ-ნიჩესკო დელოში“ აკადემიკოსი ლიუბენ ჩაკალოვი, ნათელი გახდა, რომ მსოფლიო-ში პირველი სოციალისტური ქვეყანა არის აგრეთვე პირველი მეცნიერებასა და ტექნიკაში. შორს აღარ არის ის დრო, როცა საბჭოთა კოსმოსური ხომალდით ადამიანი პირველად გაფრინდება კოსმოს-ში. ეს იქნება ხომალდი, აღჭურვილი არა ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღით და შხამიანი ქიმიკატებით ეკიპაჟისათვის, არამედ ზუსტი ხელსაწყოებით, რო-მლებიც უზრუნველყოფენ მის მშვიდობით დაბრუნებას დედამიწაზე.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთების მთავარი თემაა უმაგალითო მეცნიერული ექსპერიმ-ენტის წარმატებით დამთავრება საბჭო-თა კავშირში. გაზეთი „რუდე პრავო“, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებას, წერს: ეს არის არა მარტო ტრიუმფი საბჭოთა მეცნიერებისა. ეს არის მშვიდობის საქმის გამარჯვება. მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ადამიანებს იგი ეუბნება: მშვიდად იყა-ვით, განაგრძეთ მუშაობა! ხალხთა მშვი-დობისა და თავისუფლების მტრებს იგი კვლავ აფრთხილებს, მოაგონებს მათ, რომ ძალთა თანაფარდობა დედამიწაზე მათ სასარგებლოდ როდი შეიცვალა. ის რაც, ოდესღაც სწამდათ მხოლოდ მგზნებარე ენთუზიასტებს, ის, რაც სულ ცოტა ხნის წინათ ხხოლოდ დიდი პოეტების ფანტა-ზია იყო, დღეს განხორციელდა, შევიდა ჩვენს ცხოვრებაში. და არ უნდა დავივი-წყოთ, რომ გმირობა ჩაიდინა კიდევ ერთი გმირობა, რომელიც არა მარტო უკვდავია მსოფლიო მეცნიერული აზრის განვითარებაში, არამედ აგრეთვე ადამი-ანობის მთელ ისტორიაში“, — წერს მოწინავე სტატიაში **კორიერი** გაზეთი „ნოდონ სინმუნი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახლა გადაჭრილია ბევრი მთავარი საკით-ხი, დაკავშირებული ადამიანის კოსმოსურ ფრენასთან. დადგა დრო, როცა ადამიანი შეძლებს გაეგზავროს საპლანეტთაშორი-სო სივრცეში, იმოგზაუროს მთვარეცა და სხვა პლანეტებზე. ეს ოცნება, რომელიც სიზმარს ჰგავს, ეს გაბედული ფანტაზია რეალური გახდა დიადი საბჭოთა ხალხის გმირობის მეოხებით, რომელიც სკკპ ხელმძღვანელობით შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

„შესანიშნავი მიღწევა“, „უდიდესი წვლილი მსოფლიო მეცნიერებაში“ — ასეთი სათაურებით **ვიეტნამის** გაზეთი „ნიან ზანი“ იუწყება მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის მშვიდობით დაბ-რუნებას დედამიწაზე. საბჭოთა მეცნიე-რების ახალი წარმატება, წერს გაზეთი, მოწმობს, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა ადამიანი შეძლებს უშიშრად გაფ-რინდეს კოსმოსში და დაბრუნდეს დედა-მიწაზე. „ნიან ზანი“ აღნიშნავს, რომ პირველი თანამგზავრის გაშვების შემდეგ სამ წელიწადზე ნაკლებ დროში საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და წარმატე-ბით მიიოდა კოსმოსზე გამარჯვების გზით, სოციალიზმმა და კომუნიზმმა მეცნიერებაში თავიანთი წარმატებებით ცხადყვეს და დამტკიცეს თავიანთი სისტემის უპირატესობა.

ლიბანის გაზეთები საკდესის ცნობას უკეთებენ დიდ სათაურებს მთელ პირველ გვერდზე. „ან-ნიდა“—„საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიული გამარჯვება“, გაზეთი „ალ-ჯარიდა“ — „რუსებმა წარმატებით გადაჭრეს კოსმოსში ადამიანის გაგზავნისა და დედამიწაზე მისი დაბრუნების პრობლემა“, გაზეთი „ან-ნაჰარი“ — „რუსები აღებენ მსოფლიოს კარს. ადამიანს გახსნილი აქვს გზა კოსმოსში“, გაზეთი „ალ-ანუარი“ — „ისტორიული მოვლენა, რომლითაც რუსებმა შეარყიეს მთელი მსოფლიო, ეს განსაცვიფრებელია, დაშვების გათვალისწინებული წერტილიდან გადახრა შეადგენს მხოლოდ 10 კილომეტრს“. ლიბანის ბეგრმა გაზეთმა, მიიღო რა საკდესის ცნობა, ხელახლა ააწყო პირველი გვერდი და ყველაზე თვალსაჩინო ადგილს მოათავსა საკდესის ცნობა.

დელის ყველა წამყვანმა გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა ცნობა საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავი წარმატების შესახებ. ერთ-ერთმა უდიდესმა ცენტრალურმა გაზეთმა „სტეიტსმენმა“ საკდესის ცნობის დაწვრილებით შინაარსი მოათავსა დიდი სათაურით მთელ პირველ გვერდზე: „კოსმოსური ხომალდი დაბრუნდა დედამიწაზე, ბორტზე მყოფი ყველა ცხოველი უვნებელია, ხომალდი დაეშვა გათვალისწინებულ ადგილიდან 6 მილზე, საბჭოთა კავშირის დიდი წარმატება“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცხოველთა დაბრუნება დედამიწაზე კოსმოსურ სივრცეში ფრენის შემდეგ ისტორიაში პირველად განხორციელდა.

ამერიკის დეპეშათა სააგენტოებმა გრიფით „ელეა“ ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით დაეშვა კოსმოსური ხომალდი და კაპსული ცხოველებითურთ გადასცეს რამდენიმე წუთში მოსკოვიდან ცნობების მიღების შემდეგ. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი თავის ცნობაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ადამიანმა პირველად გაუშვა ორბიტაზე და დაბრუნა დედამიწაზე ცოცხალი არსებანი“. რუსმა მეცნიერებმა, ნათქვამია ცნობაში, პირდაპირ მიზანში მოარტყეს შედარებით პატარა კაპსული, რომელმაც კოსმოსში იფრინა. ამავე ცნობაში აღნიშნულია, რომ საეჭვოა, რომ თანამგზავრს, რომელს გაშვებასაც ამერიკელები აპირებენ ორი-სამი კვირის შემდეგ ვანდენბერგის ბაზიდან, ბორტზე ჰყავდეს ცხოველები.

„სენსაციური ახალი ამბავი“, „ისტორიული დღე“, „ფანტასტიკური ახალი ამბავი“ — ასეთი სიტყვებით იწყებდა **საფრანგეთში** საკვირაო რადიო — და სატელევიზიო გადაცემები, რომლებმაც მილიონობით ადამიანს აუწყეს, რომ ისტორიაში პირველად ცოცხალი არსებანი მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდით კოსმოსური მოგზაურობიდან. ტელემაყურებლებმა ეკრანებზე ნახეს ძაღლები „სტრელკა“ და „ბელკა“, რომლებიც დაბრუნდნენ ისტორიული მოგზაურობიდან. ტელევიზიის კომენტატორმა, რომელმაც გადასცა საკდესის ცნობა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა „ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა იმ მომენტისაკენ, როცა ადგილს კოსმოსურ ხომალდში დაიკავებს ადამიანი“.

ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად „დიდება, უეჭველია, რუსებს ეკუთვნით. მათ მიაღწიეს საოცარ წარმატებას, უკან დააბრუნეს რა ცხოველები დედამიწის გარშემო ორბიტაზე მათი გაყვანის შემდეგ.—ახლა ნათქვამია სტატიაში. — ადამიანის ჯერია, და ეს ბოხდება ძალიან მალე, რადგან დაბრკოლებები, რომლებსაც კოსმოსი უქმნიდა ცოცხალ არსებებს, გადალახულია და უწინარეს ყოვლისა გადაჭრილია დედამიწაზე მათი დაბრუნების პრობლემა“. აღნიშნავს რა კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაშვების „საოცარ სიზუსტეს, გაზეთი ამბობს: „მაშ ჩვენ კვლავ ბუდეს ვიხდით რუსების წინაშე“.

იაპონია. „კიდევ ერთი ნაბიჯი კოსმოსის ათვისების გზაზე“, „საბჭოთა კავშირმა გაუშვა ახალი კოსმოსური ხომალდი“ — ასეთი სათაურებით გამოვიდა ტოკიოს გაზეთები. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ მრავალ ცნობასა და კომენტარს, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ბრწყინვალე მიღწევისადმი. იუწყებიან, რომ იაპონიის კავშირგაბმულობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტად მკაფიოდ მიიღო საბჭოთა კოსმოსური ხომალდის პირველი სიგნალები იმ მომენტში, როცა მან იაპონიას გადაუფრინა. დედამიწის ცოცხალ არსებათა უვნებლად დაბრუნება საბჭოთა მეცნიერების განსაცვიფრებელი მიღწევაა.

თავიანთ კომენტარებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირს კვლავინდებურად წამყვანი მდგომარეობა უკავია კოსმოსის ათვისების დარგში. გაზეთი „მაინიტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსური რაკეტების ყველა წინახდელი გაშვება წარმატებით განხორციელდა და მსოფლიო მეცნიერებას ბევრი ძვირფასი ცნობა მოუტანა, და წერს, რომ ამჟამადაც საბჭოთა კოსმოსური ხომალდი თავისი წონით ოცდაათჯერ აღემატება ამერიკის უკანასკნელ თანამგზავრს.

კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა ხალხის ახალ წარმატებებზე დღეს აღტაცებით ლაპარაკობენ და წერენ **პოლონეთში, უნგრეთში, ინდონეზიაში, კუბაში, ავღანეთში, ფინეთში** — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. (საკდესი).

რას განიცდიდნენ კოსმოსში?





კოსმოსშია გადაღებული ეს სურათები. ზუსტად მუშაობდა სატელევიზიო დანადგარი, რომ ფირზე აღებეჭდა ციური სამყაროს ოთხფეხა მგზავრის — განთქმული ძაღლის „ბელკას“ მდგომარეობა მისი კაბინაში მოთავსების შემდეგ.

როგორც ხედავთ, „ბელკა“ თანდათან იცვლის პოზას. თითქოს შეეგუა გარემოს, პირველად მოწყენილობას ამეღვენებს გოგონებული ცხოველი, შემდეგ, ეტყობა, მოძრაობაც უნდა, თათების გაშლას აპირებს, გაშალა კიდეც, თავი მოაბრუნა და როგორც ფირზე ჩანს, ყეფის სურვილიც დაებადა. რაც უფრო მაღლა მიფრინავდა „ბელკა“, იცვლებოდა მისი მოქმედება, ხასიათი, განწყობილება. ცხადია, ძაღლი განიცდიდა ახალ პირობებს, რომლებშიც იგი იმყოფებოდა თავის მეორე სახელოვან თანამგზავრ „სტრელკასთან“ ერთად.

ერთხანს თითქოს მოდუნება, უსიცოცხლობა დაეტყოთ. სატელევიზიო დანადგარი ზუსტად აღნიშნავდა იმ სახიფათო წუთებსაც. როგორც კი თანამგზავრი ხომალდი ორბიტაზე გავიდა, ძაღლებმა მოსულიერება იგრძნეს, მადაც გაეხსნათ, ავტომატურად გაიღო საკმლის შესანახი და ცხოველებმაც, ამდენი განცდის შემდეგ, დროზე მიიროვეს პირველი საუზმე დედამიწიდან 320 კილომეტრ სიმაღლეზე.

მეცნიერები გულდასმით სწავლობენ ამ ისტორიულ ოთხფეხა არსებათა ჯანმრთელობას და ფრენის მთელ ვითარებას.

პირველი კოსმონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ

მეორე კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი, მას შემდეგ, რაც მან 17-ჯერ შემოუარა ჩვენს პლანეტას, დედამიწაზე დაბრუნდა მოცემულ რაიონში. დედამიწაზე მშვიდობიანად დაბრუნდნენ კოსმონავტები „ბელკა“ და „სტრელკა“ და სხვა ცხოველები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს იმ ახალი შესანიშნავი მედიკურ-ბიოლოგიური ექსპერიმენტის წინასწარი შედეგები, რომელიც განხორციელდა ამ ხომალდის გაშვებით.

კოსმოსური ხომალდის კაბინაში „ბელკასთან“ და „სტრელკასთან“ ერთად მოგზაურობდა რამდენიმე თაგვი და ვირთაგვა, „მგზავრთა“ შორის იყვნენ აგრეთვე ბუზები, მცენარეები, სოკოები, მიკროკოკული წყალმცენარეები და ზოგიერთი მცენარის თესლი. ისინი კოსმოსში გაიგზავნა იმისათვის, რომ შეიდგენილი ყოფილიყო თვალყური ედევნებინათ ცოცხალ ორგანიზმებზე კოსმოსური რადიაციის შორეული, მოქმედებისათვის. ძაღლებს მეცნიერები სისტემატურად აკვირდებოდნენ. მათ ხედავდნენ ტელევიზორების ეკრანზე. არსებითად „ბელკას“ და „სტრელკას“ ცხოვრება ფრენის ნაწილის განმავლობაში მიმდინარეობდა ექსპერიმენტატორთა თვალწინ. მკვლევარნი ხედავდნენ ცხოველების პოზას, მათს მოძრაობას, აღებეჭდილ იქნა ერთ-ერთი ძაღლის მიერ საკვების მიღების მომენტი.

აპარატურა, რომელიც წარმოდგენას იძლევა ცხოველების ძირითადი ფიზიოლოგიური ფუნქციების მდგომარეობის შესახებ, საკმაო სიზუსტით მუშაობდა. ფრენის დროს მიღებულია ელექტროკარდიოგრამების დიდძალი ჩანაწერი, რეგისტრირებულია ცხოველების გულის ტონუსები, სისხლის წნევის დონე, სუნთქვისა და მოძრაობის სიხშირე და ხასიათი. ყველა მონაცემი ხომალდიდან დედამიწაზე გადმოცემულია რადიოთი.

ფრენის მთელი ხნის განმავლობაში ხომალდზე ავტომატურად იყო შენარჩუნებული არეს მოცემული პირობები: ბარომეტრული წნევა, ტემპერატურა, ჰაერის ტენიანობა და გაზობრივი შემადგენლობა.

ხომალდიდან მიღებული მასალების წინასწარი დამუშავება იმას მოწმობს, რომ თანამგზავრ ხომალდზე შექმნილი იყო ცოცხალი არსებებისათვის პირობები, რომელნიც ახლოსაა დედამიწის პირობებთან. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ უწონობის ფაქტორი. მაგრამ უწონობის მდგომარეობასაც ცხოველები მალე შეეჩვივნენ.

მეცნიერებმა დიდი კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ ცხოველებიანი კონტეინერის დედამიწაზე უსაფრთხო დაშვების უზრუნველყოფის სისტემა შეუფერხებლად მუშაობდა. კოსმოსური ხომალდის „მგზავრები“ კვლავ დედამიწაზე არიან. ამჟამად წარმოებს ცხოველების ყოველმხრივი გამოკვლევა და მრავალი მეცნიერული მასალის დამუშავება. (საკდესი).

კოსმოსში ფრენა კარგად გადაიტანეს

დიდ ინტერესს იწვევს ცნობები და დაწვრილებითი ამბები, რომლებიც დაკავშირებულია კაცობრიობის ცხოვრების არაჩვეულებრივი მნიშვნელობის მოვლენასთან — თანამგზავრ ხომალდის და მისგან გამოცალკევებული საცდელი ცხოველებიანი კაფსულის დედამიწაზე დაბრუნებასთან. 20 აგვისტოს ღამით „კოსმონავტი“ ცხოველები მოსკოვში ჩაიყვანეს.

საკდესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიმართა კითხვებით, რომლებიც ეხება ისტორიაში უმაგალითო კოსმოსის ბიოლოგიური ექსპერიმენტის მონაწილეთა დედამიწაზე ყოფნის პირველ წუთებს.

უწინარეს ყოვლისა მეცნიერებს აინტერესებდათ საცდელი ძაღლების „ბელკისა“ და „სტრელკის“ ფიზიკური მდგომარეობა.

თვითონ ცხოველებმა, როგორც კი ფეხი დადგეს მოსკოვის მიწაზე, გაბათილეს ყოველი შიში მათი „განწყობილების“ შესახებ. ისინი მაშინვე გახალისდნენ და ელაქუცებოდნენ თავიანთ ნაცნობ ადამიანებს. ამრიგად შეიძლებოდა ოქვე გამოეტანათ დასკვნა, რომ ძაღლებმა ძალიან კარგად გადაიტანეს ფრენა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფრენის საბოლოო სტატია, რომელმაც მნიშვნელოვანი დატვირთვა შეუქმნა ორგანიზმს. ეს დატვირთვა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა, მაგალითად, ატმოსფეროში საფრენი აპარატის დამუხრუჭებისას დაჩქარება. ცხოველთა ქცევის, მდგომარეობისა და საერთო გამომეტყველების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ძალიან კარგად გადაიტანეს თავიანთი ფრენის საბოლოო ფაზა. ცხოველთა მდგომარეობა, რომელიც აღინიშნა მათი დაბრუნებისთანავე, სპეციალისტების დასკვნით, არ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც შეიძლებოდა გვენახა ცხოველთა ჩვეულებრივი წვრთნის შემდეგ დედამიწაზე ფრენისათვის მზადების მსვლელობაში.

თავი რომ შინ იგრძნეს, ცხოველები სწრაფად დაუბრუნდნენ „ჩვეულებრივ საქმიანობას“ და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, გემრიელ საჭმელს. ძაღლებმა მოულოდნელი ინტერესი გამოიჩინეს მათთვის ისეთი უჩვეულო კერძისადმი, როგორიცაა... ჰალვა „ლაიკა“, რომელიც პირველ ხანს ძეხვს ამჯობინეს. ცხოველებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს აბაზანა, რის შემდეგაც უფრო გამოცოცხლდნენ.

შემდეგ მოხდა დაწვრილებითი ფიზიოლოგიური გამოკვლევა (ელექტროკარდიოგრამა და სხვ.), რამაც ცხადყო, რომ ცხოველები ჩინებულ მდგომარეობაში არიან.

კოსმოსში ყოფნა და ფრენა კარგად გადაიტანეს დანარჩენმა ბიოლოგიურმა ობიექტებმაც, მაგალითად კოსმოსიდან დაბრუნებული თაგვები გულმოდგინედ შეუდგნენ მათთვის განკუთვნილი საჭმლის ჭამას. ასევე კარგ მდგომარეობაში არიან სხვა ობიექტები. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მცენარე, რომელიც კოსმოსურ ფრენაში წაიღეს, კვლავ ყვავის.

გრძელდება ფრენის მონაწილე ბიოლოგიური ობიექტების გამოკვლევა.

(საკდესი).

... ოფიერება — 62,9 პროცენტით. 532 ... თასი მანეთით გადიდდა პროდუქციის ... ვითლირებულება. ამის შემდეგ გასა-ერველი არ არის, რომ პარტიის საქა-ალაქო კომიტეტი იძულებული გახდა შე-ეცვალა და განემტკიცებინა ამ საწარმოს ... ელმძღვანელობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 ... ლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტი-ებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ... ძლავრ დასაყრდენს წარმოადგენენ პარ-ტიული კონტროლის და ტექნიკური პრო-პაგანდის ხელშემწყობი კომისიები.

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში ... პარტიული კონტროლის კომისიის ინი-ციატივით თბილისის ხორცკომბინატში ... ადამანტაუდა პირუტყვის საკლავი და გა-ასამუშავებელი მექანიზებული კონვეი-ერი, რამაც შეამსუბუქა ფიზიკური შრო-ა, 25 პროცენტით შეამცირა ამ ოპერა-ციებზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობა და 20 პროცენტით აამაღლა შრომის ნა-ოფიერება.

მაგრამ ამასთან მთელ რიგ საწარმოებ-ი პარტიული კონტროლის კომისიები ... უსტად მუშაობენ იმ ნაკლოვანებათა ... ამოფლინებისა და შესწავლისათვის, რო-ლებიც ახალი ტექნიკისა და ტექნოლო-გიის დანერგვის საქმეში არსებობს, ამ ... კითხებს განსახილველად არ აყენებენ ... ბიუროებსა და პარტიულ კრებებზე.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ... შუამბა კომისიების საქმიანობის გამო-ყენებისათვის, — განაცხადა მეცნიერ-ა, — დიდი მნიშვნელობა აქვს სი-უსტეს, რომლითაც განხორციელდა დე-დამიწაზე დაშვება, კაფსული და თვითონ ... ომალი დაეშვნენ ნავარაუდევ რაიონში ... ასლოვებით 10 კილომეტრი სიზუსტით, ... ოსმოსური ფრენის დროს ეს შედეგი ... ასაცვიფრებელია. (საკდესი).

... ოფიერება — 62,9 პროცენტით. 532 ... თასი მანეთით გადიდდა პროდუქციის ... ვითლირებულება. ამის შემდეგ გასა-ერველი არ არის, რომ პარტიის საქა-ალაქო კომიტეტი იძულებული გახდა შე-ეცვალა და განემტკიცებინა ამ საწარმოს ... ელმძღვანელობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 ... ლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტი-ებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ... ძლავრ დასაყრდენს წარმოადგენენ პარ-ტიული კონტროლის და ტექნიკური პრო-პაგანდის ხელშემწყობი კომისიები.

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში ... პარტიული კონტროლის კომისიის ინი-ციატივით თბილისის ხორცკომბინატში ... ადამანტაუდა პირუტყვის საკლავი და გა-ასამუშავებელი მექანიზებული კონვეი-ერი, რამაც შეამსუბუქა ფიზიკური შრო-ა, 25 პროცენტით შეამცირა ამ ოპერა-ციებზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობა და 20 პროცენტით აამაღლა შრომის ნა-ოფიერება.

მაგრამ ამასთან მთელ რიგ საწარმოებ-ი პარტიული კონტროლის კომისიები ... უსტად მუშაობენ იმ ნაკლოვანებათა ... ამოფლინებისა და შესწავლისათვის, რო-ლებიც ახალი ტექნიკისა და ტექნოლო-გიის დანერგვის საქმეში არსებობს, ამ ... კითხებს განსახილველად არ აყენებენ ... ბიუროებსა და პარტიულ კრებებზე.

... ოფიერება — 62,9 პროცენტით. 532 ... თასი მანეთით გადიდდა პროდუქციის ... ვითლირებულება. ამის შემდეგ გასა-ერველი არ არის, რომ პარტიის საქა-ალაქო კომიტეტი იძულებული გახდა შე-ეცვალა და განემტკიცებინა ამ საწარმოს ... ელმძღვანელობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 ... ლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტი-ებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ... ძლავრ დასაყრდენს წარმოადგენენ პარ-ტიული კონტროლის და ტექნიკური პრო-პაგანდის ხელშემწყობი კომისიები.

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში ... პარტიული კონტროლის კომისიის ინი-ციატივით თბილისის ხორცკომბინატში ... ადამანტაუდა პირუტყვის საკლავი და გა-ასამუშავებელი მექანიზებული კონვეი-ერი, რამაც შეამსუბუქა ფიზიკური შრო-ა, 25 პროცენტით შეამცირა ამ ოპერა-ციებზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობა და 20 პროცენტით აამაღლა შრომის ნა-ოფიერება.

მაგრამ ამასთან მთელ რიგ საწარმოებ-ი პარტიული კონტროლის კომისიები ... უსტად მუშაობენ იმ ნაკლოვანებათა ... ამოფლინებისა და შესწავლისათვის, რო-ლებიც ახალი ტექნიკისა და ტექნოლო-გიის დანერგვის საქმეში არსებობს, ამ ... კითხებს განსახილველად არ აყენებენ ... ბიუროებსა და პარტი

კონგოელები მოითხოვენ

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 40 წუთზე ნიუ-იორკის დროით (19 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) დაიწყო უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თხოვნით კონგოში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც გუშინ გაიხსნა აქ, პირველი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი. მისი განცხადება თითქმის მთლიანად მიეძღვნა კონგოს ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობის საქმიანობის გამართლებას. ამასთან იგი აკრიტიკებდა კონგოს მთავრობის მოქმედებას, მომართულს თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იქ მყოფი პერსონალის წინააღმდეგ. გენერალური მდივნის სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ სამსახურის მიზანი, რომელსაც იგი კონგოს რესპუბლიკას უწევს, არის ის, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება. ხოლო რადგან სიძნელეები, რომლებიც რესპუბლიკას აქვს, მისი აზრი, არ არის ისეთი ხასიათის, რომ საფრთხე შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, ამიტომ ეს სირთულეები არ წარმოადგენენ „ჩვენი ზრუნვის საგანს“.

შემდეგ სიტყვა მიეცა კონგოს რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურს პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ა. გიზენგას. მან განაცხადა, რომ უშიშროების საბჭო დაგვეხმარა თავიდან აგვეცილებინა შეთქმულება, რომელიც კონგოს სუვერენიტეტს ემუქრებოდაო. გიზენგამ აღნიშნა აგრეთვე, რომ თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაკისრებული ჰქონდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელების ამოცანა, რომელშიც შედიოდა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

ჯარების გაგზავნა კატანგის პროვინციაში, მან არ მიაწოდა ინფორმაცია კონგოს ცენტრალურ მთავრობას კატანგის ამბების შესახებ და ეს ამბები ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მარიონეტმა ჩომბემ მოიწვია პრეს-კონფერენცია ელიზაბეტვილში“. ცუდად განმარტებული რეზოლუციები, — თქვა მან,— არ შეუწყობდნენ ხელს კონგოს განთავისუფლებას, არამედ, პირიქით, მათ მოჰყვებოდა ამ ქვეყნის ახალი დაპყრობა“. კონგოს სურს, ხაზგასმით აღნიშნა გიზენგამ, რომ კონგოს დამოუკიდებლობა დადასტურებულ იქნას, ხოლო მისი ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული. ჩვენ გვსურს აღვადგინოთ ღირსება კონგოელი ხალხისა, რომელიც იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

კონგოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ შეიტანა წინადადება, რომ შეიქმნას ჯგუფი აფრიკა-აზიის ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, რომლის მთავარი ბინა იქნება კონგოში. ეს ჯგუფი, თქვა გიზენგამ, მჭიდროდ თანამშრომლებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებთან და მას დაეკისრებოდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მთლიანად შესრულების ამოცანა.

შეეხო რა უთანხმოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და კონგოს მთავრობას შორის, გიზენგამ თქვა. რომ მისი მთავრობისათვის გაუგებარია, რატომ არ მოეთათბირა ჰამარშელდი კონგოს მთავრობას მანამდე, სანამ კატანგაში გაეგზავნებოდა. ასევე, განაგრძო მან, იყო არასასიამოვნო დამთხვევა აჯანყებულ ჩომბეს მიერ წამოყენებულ პირობებსა და იმ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც გენერალურმა მდივანმა მიიღო.

კონგოს დელეგაციის მეთაურმა ჩამოაყალიბა კონგოს მთავრობის პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის შესახებ:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა კონგოში უნდა ხორციელდებოდეს ცენტრალურ მთავრობასთან თანამშრომლობით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად;

2. ცენტრალურ მთავრობას მუდამ უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ კონგოში, რათა თვალსაზრისები ერთმანეთს დაემთხვეს;

3. კონგოს ჯარები უნდა ახორციელებდნენ პოლიციურ ზედამხედველობას აეროპორტებსა და საზღვაო ნავსადგურებში;

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულმა ძალებმა დაუყოვნებლივ უნდა განაიარაღონ ბელგიის მთელი ჯარები, რომლებიც მარიონეტ ჩომბეს გამგებლობაში იმყოფებიან;

5. უნდა განხორციელდეს ბელგიის ჯარების სრული და უთუო ევაკუაცია კიტონისა და კამინის ბაზებიდან. ამასთან დაკავშირებით გიზენგამ აღნიშნა, რომ ბელგიელების გაგზავნა მარიონეტული მთავრობის მილიციის გასაწვრთნელად ნიშნავს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის წინააღმდეგ მოქმედებას;

6. უშიშროების საბჭომ უნდა დააარსოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მიზნით.

პრემიერ-მინისტრის მოადგილემ დასასრულ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თვალსაზრისი სავსებით შეესაბამება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებსა და საერთაშორისო სამართლიანობას.

კოლონიზატორთა ახალი შეთქმულება

კონაკრი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, მალის ფედერაციაში, რომელიც შეიქმნა 1960 წლის იანვარში საფრანგეთის ყოფილი კოლონიების სენეგალისა და სუდანის გაერთიანების შედეგად და რომლის დამოუკიდებლობა გამოცხადდა ამა წლის 20 ივნისს, სერიოზული ამბები მოხდა. 19 აგვისტოს ღამით რეაქციულმა ელემენტებმა, რომლებიც დაჯგუფებული არიან კოლონიზატორებთან თავიანთი კავშირით ისეთი ცნობილი სენეგალელი მოღვაწეების გარშემო, როგორიც ლეოპოლდ სენგორი და მამადუ დიაა, ხელთ იგდეს ტელეგრაფი, რადიოსადგური და დაკარის სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი. იმავე ღამით მოწვეული იქნა სენეგალის ადგილობრივი პარლამენტი, რომელმაც განაცხადა, რომ სენეგალი გამოდის მალის ფედერაციიდან და იარსებებს როგორც „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო.

მალის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა კეიტამ გადაწყვიტა გამოიყენოს შეიარაღებული ძალები შეთქმულთათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მაგრამ ფრანგმა ოფიცრებმა, რომელთა ხელშია არმიის სარდლობა, ხელი შეუშალეს ამას. კეიტა და სხვა სუდანელი მინისტრები დაუპატიმრეს. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დაკარიდან იუწყება, სენეგალის მთავრობამ გუშინ მიიღო გადაწყვეტილება გააძევოს ისინი სუდანიდან.

თამაში ასე უნდა

„დინამო“ (თბილისი) — „ბაია“ (სან-სალვადორი, ბრაზილია) — 4 : 0 (1 : 0). თბილისი, 21 აგვისტო, „ბურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

„ბაია“ — კარდოსო, პერეირა, სანტოსი, გოავა, ფერეირა, კარეირა (ვისენტი), სანტანა, ბრიგელია, ჟ. ფრეიტასი (არაუჟო), კოსტა, ა. ფრეიტასი.

„დინამო“ — კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოლობერიძე (ფორდანია), მესხი.

საკავშირო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო მატჩების არენამ მისამართი შეიცვალა. ვიდრე თბილისის „დინამოს“ სტადიონი რეკონსტრუქციას განიცდის, სპორტის მოყვარულთათვის ძღვლვარებისა და დასვენების ადგილი „ბურევესტნიკის“ სტადიონი იქნება, რომელსაც ახალი ტრიბუნა შეემატა და კაპიტალურად შეკეთდა.

სწორედ ამ სტადიონზე მოუხდათ ეასულ კვირადღეს თბილისელებს სახელმოხვეჭილ ბრაზილელ ფეხბურთელთა გაცნობა „ბაიას“ კლუბის სახით. მართალია „ბაიას“ რიგებში არ არიან ვარსკვლავები — პელე, კუტინო, ზიტო, პეპე და სხვ., მაგრამ ამ გუნდმა ხომ დაამარცხა მსოფლიოში ცნობილი კლუბი „სანტოსი“ და ბრაზილიის თასი მოიპოვა. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენმა სტუმრებმა მოსკოვში დაამარცხეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, მაშინ აღვილი გასაგები იქნება, რატომ იწვევდა სან-სალვადორის „ბაიასა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების მატჩი ესოდენ დიდ ინტერესს.



და აი, მოწინააღმდეგენი მოედნის შუაგულში არიან. თერმეტ ბრაზილელს ხელთ უპირავს დიდი ტილო, რომელზეც კითხულობთ — „სალამი ქართველ სპორტსმენებს“. სტადიონის ტრიბუნებს მოსწყდა ერთსულოვანი ტაში. დინამოელებმა სტუმრებს თაიგულები და სამახსოვრო ალმები უძღვნეს, ყღერს ბრაზილიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

როგორც ყოველთვის, მატჩის წინ მოეწყო ფეხბურთელთა ვარჯიში. ვაკვირდებოდით ბრაზილიელთა წვრთნას და თვალში გვხვდებოდა შესანიშნავი ტექნიკა, ბურთის ფლობის ვირტუოზობა, გადაცემათა სიზუსტე. მაგრამ ყოველივე ამას ხომ გამოყენება უნდა, ისიც უშუალოდ ბრძოლაში, კარზე იერიშის დროს.

მალე ეს ბრძოლაც დაიწყო. დინამოელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი ნათელი იყო — სტუმრებისათვის რომლებიც თამაშობენ სისტემით 1+4+2+4. ამასთანავე დაბალი სიჩქარით, დაპირისპირებინათ ფლანგებიდან იერიშები მაღალი ტემპით. ეს ტაქტიკა ეფექტური და სასარგებლო გამოდგა. თუ მარჯვენა ფრთიდან ამას სრულყოფილი სახე არა ჰქონდა, სამაგიეროდ ახსამბლი რიტმულად მუშაობდა მარცხენა ფლანგზე მესხის, ღოღობერიძისა და იამანიძის შემადგენლობით.

ბრაზილიელთა ტექნიკამ ვერ გაუძლო დინამოელთა განუწყვეტელ შტურმს და მალე სტუმართა გაძლიერებული დაცვის ხაზი შერღვეული აღმოჩნდა. მე-12 წუთზე მესხი ორ მცველს შუა შესანიშნავად გავიდა, გადამწყვეტ მომენტში მის მიერ დამუშავებული მეტად ეფექტური ფინტით კიდევ ერთი ბრაზილიელი მოიტოვა უკან და შესანიშნავად მიაწოდა იქვე შერჩეულ ადგილზე მდგარ ღოღობერიძეს. მეკარე კარდოსო უძლური აღმოჩნდა, დინამოელთა კაპიტანის დარტყმა მიზანში მოხვდა — 1:0.

კიდევ რამდენიმე წუთს არ შენელებულა დინამოელთა მეტეორა, მაგრამ ანგარიშის გადიდების რეალური შესაძლებლობები ხელიდან იქნა გაშვებული. ბრაზილიელთა თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, ცენტრში. ცენტრალურ სამეულს შესანიშნავად გაჰყავდა კარზე საიერიშოდ გარემარბები, მაგრამ დარტყმები მეტწილად არაზუსტი იყო.

მე-40 წუთზე, როდესაც დინამოელთა „კარის აღების“ ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მეკარე კოტრიკაძემ ახლო მანძილიდან ორი დარტყმა ზედიზედ თავგანწირული ნახტომებით მოიგერია. ეს იმდენად ლამაზი და ეფექტური იყო, რომ ბრაზილიელთა შუამარბი ჟ. ფერეიტასიც კი მოიხიბლა, და მან ხელი ჩამოართვა მეკარეს.

ტაიმი დამთავრდა. ფაარზე გამოსახული ციფრები 1:0 გვაცნობდნენ თბილისელთა უპირატესობას.

შეჯიბრების პირველ ნახევარში იყო წუთები, როდესაც სტუმრებმა დინამოელთა „ცვცხლო“ ჩაკრეს, აიყოლიეს ნელ ტემპში და თამაშიც უკეთესად აეწყვე. როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინეს ჩვენმა ფეხბურთელებმა შესვენებისას, და ამიტომ მეორე ტაიმში ბრძოლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო.

სტუმრებმა შეცვალეს თავიანთი ცენტრალური თავდამსმელი, ხოლო ღოღობერიძის მაგივრად მოედანზე გამოვიდა ყორდანია. ამ და ზოგიერთ სხვა ცვლილებას ძალთა თანაფარდობაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. დინამოელებმა ბრძოლის მთავარ იარაღად ტემპიანი თამაში არჩიეს. „ბაიას“ მცველთათვის მესხი გამოცანა გახდა. როდესაც მასთან ბრძოლაში ერთმა მეტოქემ ვერაფერი გააწყო, მეორე მოდარაჯე მიეჩინეს, ხოლო შემდეგ თბილისელთათვის ცხობილი სანტოსიც წამოეშველა მეგობრებს. ყოველივე ამან შედეგი ვერ გამოიღო, დარჩა ერთი ხერხი — მესხის დაჭერა ხელით...

განუწყვეტელ იერიშებში მომწიფდა გოლის საკითხი, და მალე თბილისელებმა მეორე ბურთი გაიტანეს. ეს მოხდა მე-13 წუთზე. დაახლოებით 25-30 მეტრიდან კალოევმა ისეთი სიძლიერით ჩაჭრა ბურთი კარის ზედა კუთხეში, რომ არა მარტო მეკარე კარდოსო დარჩა გაოგნებული, არამედ სხვებმაც გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

ბრაზილიელებს ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ ჰქონდათ მესხისაგან, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილს, თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ორ-სამ მცველთან ბრძოლაში, უშუალოდ მიჰქონდა იერიშები კარზე. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა შედეგი არ მოჰყოლოდა — მესხის „ამუშავებული“ ბურთი ერთხელ კალოევთან ერთად, ხოლო მეორედ მესხის მიერვე იქნა გატანილი.

დინამოელთა მარცხენა გარემარბი ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო.

მალე მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამ ხამაშის დამთავრება გვამცნო. გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა შედეგით 4:0.

ვ. გაბელია.

„დინამოს“ საერთაშორისო კლასის გუნდია

მატჩის დამთავრების შემდეგ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა „ბაიას“ გუნდის უფროს მწვრთნელს კ. ვოლანტეს, და თხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ამ მატჩის შესახებ.

მან განაცხადა:

„ბაიას“ გუნდი ყოველი წლის მნიშვნელოვან პერიოდს საერთაშორისო მატჩებში ატარებს. ბუნებრივია, გვიხდება ბევრი მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში, ქალაქებში.

თქვენგან მიგვყავება საუკეთესო შთაბეჭდილებანი ქართველ ხალხზე, თბილისზე, დინამოელებზე, თქვენს სტუმართმოყვარეობაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის „დინამო“ და მისი ზოგიერთი მოთამაშე საერთაშორისო კლასისა არიან. აღტაცებული დავრჩი მარცხენა გარემარბის მესხის ტექნიკური ბრძოლით, მომეწონა მცველ ჩოხელის, ნახევარმცველ იამანიძის და მეკარე კ ტრიკაძის თამაში.

დინამოელთა გამარჯვება კანონზომ რი იყო. ასეთ ძლიერ გუნდს მიმდინ წლის მოგზაურობაში ჯერჯერობით ვერ ვეხვედრივართ და არც ასეთი დამა ხება განგვიცდია. მე ერთხელ კიდევ ვ რწმუნდი, რომ ფეხბურთს, როგორც ლეტურ თამაშს, მაღალ ტექნიკასთან ერთად, ტემპიანი ბრძოლა და ფიზიკური მძლეობა ესაჭიროება. უკანასკნელ ფაქტორში ჩვენ დინამოელებს ჩამო ჩერბოდით.

შემდგომ წარმატებას ვუსურ თქვენს სახელოვან გუნდს.

მესხი — მატჩის გმირი

ჯერ კიდევ 1957 წელს, რო საც „ბაიაა“ პირველად ეწვია ხ ჭოთა კავშირს, მე მომიხდა ბრა ლელთა ერთ-ერთი მატჩის მსაჯობა ამბობს საკავშირო კატეგორიის მსაჯ **ხლოპოტინი.**—შეიძლება ითქვას, რომ გუნდი წელს უფრო ძლიერად გამოი რება, ვიდრე მაშინ. „ბაიას“ ტაქტიკა ჩანაფიქრი, მისი ტექნიკა დინამოელ ცოცხლოვანი და კოლექტიური თამა წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა. მეს ერთხელ კიდევ დაგვანახვა თავისი ვ ტუოზობა. ამ გამარჯვებაში მას თვალ ჩინო ღვაწლი აქვს. იგი ამ მატჩის ნა ვილი გმირი იყო.

ზედმეტი არ იქნება, თუ ვეტყ დინამოელებს: ბრძოლა სწორედ ასე დ..

* * *

სურათებზე: ზემოთ თქვენ ხედავ თუ როგორ მიესალმნენ ბრაზილელ ფეხბურთელები საქართველოს სპორ სმენებს; ქვემოთ — მესხის მიერ მეკ მე ბურთის გატანის მომენტი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ოლიმპიური ქრონიკა

△ ოლიმპიურ რომში დიდი ხანია ჩავიდა საბჭოთა სპორტული დელეგაციის თითქმის ორი მესამედი. 20 აგვისტო აქ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებისათვის დიდი დღესასწაული იყო. 18 საათზე რომის დროით „ვილაჯო ოლიმპიკოში“ საზეიმოდ აღმართეს საბჭოთა ქვეყნის ალამი, ყღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

△ ბოლონიაში ძირითადად დამთავრდა XVII ოლიმპიური ასპარეზობის შერჩევითი ტურნირი კალათბურთში დამატებით 5 უძლიერესი ფინალისტის გამოსავლენლად. უკანასკნელი ტურის მატჩების შემდეგ გამოვლინდა უძლიერესთა ოთხეული. ესენი არიან ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდები.

△ ოლიმპიური ჩირაღდანი სულ უფრო უახლოვდება იტალიის დედაქალაქს. 1.500 კილომეტრზე ჩირაღდანს წაიღებენ მძლეოსნები და მას XVII ოლიმპიური ასპარეზობის დღეს, 25 აგვისტოს მიიტანენ რომის ოლიმპიურ ცენტრალურ სტადიონზე. ახლა, ოლიმპიური ჩირაღდანი მიაქვთ მორბენლებს, რომელსაც გზადაგზა ესტაფეტის სახით გადასცემენ სხვადასხვა ქვეყნის, ქალაქის სპორტსმენებს.

ყოველი მხრიდან

სტოკჰოლმი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატები იმოქმედებიან, რომ „შავ სიაში“ შეიტანენ შვედ გემთმფლობელთა კომპანიებს, თუ ისინი დათანხმდნენ გადაზიდონ საბჭოთა ნავთობი შავი ზღვის ნავსადგურებიდან კუბაში. ამგვარი გაფრთხილება, განაგრძოს გაზეთი, ამერიკელებმა გაგზავნეს შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებით და მუქარით შვედ გემთმფლობელთა კომპანიები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ფრახტის მეტად ხელსაყრელ წინადადებებზე. და ეს მაშინ, შენიშნავს გაზეთი, როცა შვეციის სატანკერო ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოცდენილია არასრული დატვირთვის გამო.

ჰანოი, 21 აგვისტო. (საკდესი). იმოწმებს რა რადიო „პატეტ-ლაოს ხმის“ გადაცემას, ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ლაოსის სამეფო არმიის, რომელსაც სარდლობს ამერიკის შეერთებული შტატების თავგამოდებული მომხრე ფუმი ნოსავანი, ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დიდ აღფოთებას გამოთქვამს რეაქციული ხროვის გამეცმლობის გამო. სამ-ტეუში მათ შეწყვიტეს მორჩილება და ნაწილის მეთაური იძულებული გახდა გაქცეულიყო. ვიეტნამის ახლოს დაბანაკებული ბევრი ჯარისკაცი ხალხის მხარეზე გადავიდა.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინიდან იუწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამარშელდმა გუშინ გამოაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლეს ოფიციალურ წარმომადგენლად კონგოში დაინიშნა რაჯეშვარ დაიალი (ინდოეთი), ნაცვლად დ-რ რალფ ბანჩისა.

ბერლინი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან (კატანგა) იუწყება, დღეს ღილით პარტია „ბალუბაკატის“ მომხრეთა დიდი ჯგუფი (ეს პარტია იბრძვის კონგოს ტერიტორიული მთლიანობისათვის), რომელიც ჩომბეს ოპოზიციაში უდგას, შეიკრიბა აეროპორტში და მოელოდა ლეოპოლდვილიდან კონგოს მთავრობის კატანგას საკითხთა სტატს-მდივნის იასონ სენდეეს ჩამოსვლას.

პოლიციამ გარეკა შეკრებილნი, რისთვისაც გამოიყენა ცრემლსადენგაზიანი გრანატები. უფრო გვიან აფრიკელები ძალავ შეიკრიბნენ აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები და მოახდინა მასობრივი დაპატიმრებანი. ასამდე კაცი გაგზავნეს ქალაქის საპყრობილეში.

△ ოლიმპიური რომში დიდი ხანია ჩავიდა საბჭოთა სპორტული დელეგაციის თითქმის ორი მესამედი. 20 აგვისტო აქ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებისათვის დიდი დღესასწაული იყო. 18 საათზე რომის დროით „ვილაჯო ოლიმპიკოში“ საზეიმოდ აღმართეს საბჭოთა ქვეყნის ალამი, ყღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

△ ბოლონიაში ძირითადად დამთავრდა XVII ოლიმპიური ასპარეზობის შერჩევითი ტურნირი კალათბურთში დამატებით 5 უძლიერესი ფინალისტის გამოსავლენლად. უკანასკნელი ტურის მატჩების შემდეგ გამოვლინდა უძლიერესთა ოთხეული. ესენი არიან ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდები.

△ ოლიმპიური ჩირაღდანი სულ უფრო უახლოვდება იტალიის დედაქალაქს. 1.500 კილომეტრზე ჩირაღდანს წაიღებენ მძლეოსნები და მას XVII ოლიმპიური ასპარეზობის დღეს, 25 აგვისტოს მიიტანენ რომის ოლიმპიურ ცენტრალურ სტადიონზე. ახლა, ოლიმპიური ჩირაღდანი მიაქვთ მორბენლებს, რომელსაც გზადაგზა ესტაფეტის სახით გადასცემენ სხვადასხვა ქვეყნის, ქალაქის სპორტსმენებს.

☐ ზემოქმედება შვედ გემთმფლობელებზე. ☐ ჯარისკაცები ტოვებენ მოლალატეს. ☐ დაიალი — ჰამარშელდის პირადი წარმომადგენელი კონგოში. ☐ დაპატიმრებანი კატანგაში.

ნიქსონი მარქსისტული ფილოსოფიის „მცოდნის“ როლში

ვაშინგტონი. 21 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი გ. შიშკინი იუწყება: შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა აქ გამოქვეყნა წინასწარ რეკლამირებული ვრცელი განცხადება სათაურით „კომუნიზმის მნიშვნელობა ამერიკელებისათვის“. ეს განცხადება პირველია ასეთივე დოკუმენტების სერიიდან, რომლებშიც ნიქსონს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს რესპუბლიკური პარტიისაგან, განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულებანი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებზე. ნიქსონი ამტკიცებს, რომ თითქოს „მთავარი პრობლემა, რომელიც დგას შეერთებული შტატების ხალხისა და მთელი მსოფლიოს თავისუფალი ხალხების წინაშე XX საუკუნის მეორე ნახევარში, არის საფრთხე მშვიდობისა და თავისუფლებისადმი საერთაშორისო კომუნიზმის მებრძოლი აგრესიულობის მხრივ.

გამოდის რა მარქსისტული ფილოსოფიის ცრუმარქვია მცოდნის როლში, ნიქსონი თავის განცხადებაში ცილისმწამებლურად და კარიკატურულად განმარტავს მარქსიზმ-ლენინიზმის შეხედულებებსა და იდეებს. დაისახა რა თავის ამოცანად დაამტკიცოს ამრიგად „კომუნიზმის აბსურდულობა“, ნიქსონი, მიუხედავად ამისა, იძულებულია აღიაროს, რომ კომუნიზმის იდეებს აქვთ „აქტიური მიმზიდველი ძალა ბევრი გონიერი ადამიანის გონებისა და გულისათვის“. ამაოდ ცდილობს რა თავის ოცდაათ გვერდ განცხადებაში უარყოს ეს იდეები, იგი, თავისდა აშკარა სამწუხაროდ, იძულებულია აღნიშნოს, რომ „ახლა კომუნიზმი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ყველაზე მაღალი სასკოლო ცოდნისა და ყველაზე მძიმე პლანეტათშორისი თანამგზავრების ქვეყანა“.

დღეს სრულდება 16 წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიის ნაწილებმა ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს რუმინეთი. მალე რუმინეთში გამოცხადდა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და 23 აგვისტო მიჩნეულ იქნა რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის თარიღად.

სურათებზე: ქალაქ ბუქარესტის ხედები.

დინამოელთა მატჩების კალენდარი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მე-7—მე-12 ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრათა კალენდარი.

თბილისის დინამოელთა მატჩების კალენდარი ასეთია:

პირველი წრე. 28 აგვისტოს — „დინამო“ (თბილისი) — „ბელარუსი“ (მინსკი), 9 სექტემბერს — „დინამო“ (თბილისი)— „სპარტაკი“ (ერევანი), 13 სექტემბერს — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი), 18 სექტემბერს — „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი), 23 სექტემბერს — „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი).

მეორე წრე. 2 ოქტომბერს — „დინამო“ (თბილისი)—„სპარტაკი“ (მოსკოვი), 8 ოქტომბერს — „დინამო“ (თბილისი) — „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი), 12 ოქტომბერს—„დინამო“ (თბილისი) — „დაუგავა“ (რიგა), 17 ოქტომბერს — „სპარტაკი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი), 22 ოქტომბერს — „ბელარუსი“ (მინსკი)— „დინამო“ (თბილისი).

რამდენიმე სტრიქონით

◆ ამ დღეებში დონის როსტოვსა და ხარკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩები ფეხბურთში. დონის როსტოვში ადგილობრივმა სკა-მ დაამარცხა უნგრეთის საკლუბო გუნდი „ჰოლოდაში“ 2 : 1. ასეთივე ანგარიშით ხარკოვის „ავანგარდმა“ მოუგო ინდონეზიის გუნდს „პერსიჯას“.

◆ რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობის გამთამაშება ჭადრაკში. ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა ზონალური ასპარეზობანი მოსკოვში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკსა და ოდესაში. დასკვნითს ასპარეზობაში გაიმარჯვა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონი გახდა ოსტატი ე. გუფელდი, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 12 ქულა შეაგროვა.

◆ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მორიგ სხდომაზე განიხილა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ზოგიერთი ფეხბურთელის და უდისციპლინობის საკითხები. თითო თამაშით დისკვალიფიცირებული არიან ი. ბელიაევი (ცსკა), ი. ჩისლენკო (მოსკოვის „დინამო“), ა. ქვლივიძე (რიგის „დაუგავა“), შ. იამანიძე (თბილისის „დინამო“). 2 თამაშით დისკვალიფიცირებულია მ. რადუნსკი (მინსკის „ბელარუსი“).

კანისა და ვენერიულ ნეიულებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი დოკუმენტების თანდართვით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, უმაღლესი განათლების მიღების დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებაში ან ხარისხში დამტკიცების სამუშაო, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და ძირითადი სამეცნიერო შრომების ამონაბეჭდები. **კონკურსის ვადაა ორი კვირა** დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის **დეკანატი აცხადებს,** რომ სტუდენტთა **აღრიცხვა ყველა კურსზე იწარმოებს ა. წ. 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.**

სტუდენტი ვალდებულია აღრიცხვის დროს დეკანატში წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. ცნობა უკანასკნელთ სამუშაო ადგილიდან, 2. შრომის წიგნაკის ამონაწერი, 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სტუდენტები, რომლებიც აღრიცხვას არ გაივლიან, გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

ინსტიტუტში მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 15 სექტემბერს.

23 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — სიმფონიური ორკესტრი ოლეგ ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა „რუმინეთის ეროვნული დღესასწაული“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.40 — გადაცემა — გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ე. მიქელაძე, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — ახალი ამბები, 20.30 — მხატვრული ფილმი „ამის დავიწყება არ შეიძლება“.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ტრავმატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი — 1,
2. ტრავმატოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2,
3. ბავშვთა ორთოპედიის განყოფილების ხელმძღვანელი — 1,
4. ბავშვთა ორთოპედიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1,